# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 22 დეკემბერი 2006 №296 (2918) ფასი 50 თეთრი


# ოპოზიციური პოზიცია: ხელისუფლებამ ქანქარას ხელი უნდა წაჰკრას



## აკაკი ასათიანი შიშობს, რომ კლაუს ტოპმიოლერი უხელფასოდ დარჩება



ვაჟა ფიცხელაურის ფოტო

იტალიური „მილანი“ მორიგ შარში გაეხვია — შავ-წითლების თავდამსხმელ მარკო ბორიელოს „რომასთან“ მატჩის შემდეგ სისხლში დოპინგი აღმოუჩინეს. მატჩის შემდეგ ჩატარებულმა ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბორიელოს საკმაოდ მძიმე დისკვალიფიკაცია ემუქრება.
იტალიური პრესის ცნობით, კახა კალაძის თანაგუნდელს ერთბაშად ორი აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოაჩნდა სისხლში. ახლა „მილანი“ B ტესტის შედეგს ელის და თუ ამ შემთხვევაშიც იგივე განმეორდა, თავდამსხმელთან კარგა ხნით მოუწევს დამშვიდობება.

## ბორიელოს სტეროიდები მილანს სისხლი აემღვრა



## საქართველო უქართველებოდ და ახალი ქართველით იწყებს

საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადება ორი ლიდერის — ტიტე კალანდაძისა და სერგო დათუკაშვილის გარეშე დაიწყო. ისინი ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან ნაკრებს.

სამაგიეროდ, ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის მერაბ მეტრეველის განკარგულებაშია ბელარუსი სერგეი კირილოვი, ვის გაქართველებასაც წინ, ალბათ, აღარაფერი უდგას.

ევროპის პირველობის შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრები 3 იანვარს რიგაში დაიწყებს ლატვიელებთან მატჩით და 21 იანვარს ბულგარულ გაბროვოში დაასრულებს.

საქართველოს, ლატვიისა და ბულგარეთის გარდა, ოთხგუნდა ჯგუფში რუმინეთიცაა და საპლეიოფო შანსს მეორე ადგილიც იძლევა.



# აკაკი ასათიანი: ხელისუფლება ტოპმიოლერის ფულს ვეღარ გადაიხდის




უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ყოფილი პარლამენტარი და ტრადიციონალისტთა კავშირის მეთაური აკაკი ასათიანი ფეხბურთის დიდი ქომაგი რომ არის, ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებამ კარგად უწყის. მისთვის, როგორც ფეხბურთის მოყვარულ პოლიტიკოსთან, ინტერვიუ ადრეც ჩამოგვირთმევია, ახლა კი ასათიანის, უფრო, როგორც ხელისუფლების ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელის აზრი გვაინტერესებდა და მასთან ინტერვიუც აქედან დავიწყეთ...



## ტრადიციული რეცეპტი — ის, რაც ოზალმა უკვე გააკეთა

— ზოგადად, როგორ შეაფასებდით ხელისუფლებისგან ქართული ფეხბურთისთვის გაწეულ ქმედებებს?

— ქმედებებს ვერ ვხედავ, რათა ისინი შევაფასო. ქმედება პროგრამის განხორციელებაა. ნოდარ ახალკაცის შვილს რომ დანიშნავენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად, ეს ქმედება არ არის. არც ისაა ქმედება, რომ მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერს მოიწვევ. ვფიქრობ, ტოპმიოლერმა სწორად დაინახა საქართველო, მაგრამ ეს ხომ კონკრეტული პროგრამის შედეგი არ არის. საქართველოს ხელისუფლება ფეხბურთში არ აკეთებს იმას, რაც თურქეთში დაახლოებით ოცის წლის წინ გააკეთა მაშინდელმა პრემიერმინისტმა თურგუთ ოზალიმ, რომელმაც ფეხბურთის განვითარების ათწლიანი პროგრამა შეიმუშავა. ეს მოიცავდა მოედნების აგებას და ფეხბურთში ფულის ჩადებას, ბიზნესმენების წახალისებას, მათთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას. თურქული ფეხბურთის შემდგომ წარმატებებს სწორედ ეს ედო საფუძვლად. საქართველოს ხელისუფლებაში კი ის ხალხია, სპორტთან შეხება რომ არ ჰქონიათ, რომლებიც ძალიან უცბად მოვიდნენ ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძის წყალობით.

**— ფაქტია, რომ კლაუს ტოპმიოლერის კონტრაქტის ფულს სახელმწიფო იხდის — ამასაც არ უთვლით ქმედებაში ხელისუფლებას?**

— მალე ისე წავა საქმე, რომ ეს დაფინანსება შეწყდება. ბიზნესმენების რეკეტი — ეს რესურსი ხელისუფლებას ეწურება და გასაყიდი ობიექტების რაოდენობაც მცირდება. იცით, რომ უფასო სასადილოებსაც კი ბიზნესმენები აფინანსებენ? ხელისუფლების ასეთი პოლიტიკის შედეგად პირველ დარტყმას სპორტი და კულტურა მიიღებს.

**— კლაუს ტოპმიოლერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან 2+2 კონტრაქტი აქვს და ნუთუ გგონიათ, რომ რაც უნდა მოხდეს, ქვეყნის ბიუჯეტი ისე დაიქცევა, რომ ტომპიოლერს პირველ ორი წლის ჯამაგირსაც ვერ გადაუხდიან?**

— იმედი მაქვს, რომ პირველი ორი წელი ეს მოხერხდება, მაგრამ არ არსებობს ფეხბურთის განვითარების ბაზა და საყრდენი. ამერიკაში ძლიერი რომ არ იყოს სტუდენტური კალათბურთი, ნბა ვერ იარსებებდა. ჩვენთან ფეხბურთს მსგავსი საფუძველი არ გააჩნია და ხელისუფლება ამისთვის არაფერს აკეთებს.

**— ხელისუფლებას თავისი კონტროლის ქვეშ ფეხბურთის ფედერაციის გარდა კიდევ რამდენიმე სპორტული ფედერაცია ჰყავს — რატომ ვერ იქცა ეს პოლიტიკურ თემად ოპოზიციისთვის?**

— იმიტომ, რომ ერთი სფეროს გამო ხელისუფლებასთან ბრძოლას ჩვენში აზრი არ აქვს. შევარდნაძე ხალხს არ უყვარდა, მაგრამ ათი წელი იყო ქვეყნის მმართველი. რევოლუციას თუ გადატრიალებას პროფესიულ კრივს შევადარებდი — როცა მოკრივე მძიმე ბრძოლას გადაიტანს, რეაბილიტაციისთვის და ახალი ბრძოლისთვის მოსამზადებლად რამდენიმე თვე სჭირდება. ახლა ერს ახალი ენერგია და ამ ენერგიის აკუმულირება სჭირდება, ეს სამხრეთელი ხალხის მენტალიტეტისთვისაა დამახასიათებელი. ეს ხელისუფლება შევარდნაძესავით ათი წელი ვერ გაძლებს, თუმც ერთი-ორი წელი ალბათ კიდევ იქნება. ჩრდილოურ ქვეყნებში პატარა უწესობასაც არ ითმენენ და ჯანყდებიან, ჩვენთან კი საზოგადოებრივ აზრს არ ითვალისწინებენ და რაღაცის შესაცვლელად ენერგიის დაგროვება და მერე მისი ამოფრქვევაა საჭირო, რასაც ჩვენთან ერთი კვირა და ერთი თვე არ ჰყოფნის.

**— ანუ, ჩვენი ხვედრი ფეხბურთშიც უფრო ლოდინია, ვიდრე ადექვატური ქმედება?**

— ჩვენ ვეღარ მოვიცდით, ხელისუფლება უნდა შევცვალოთ, სხვანაირად ცალკეულ სფეროებში არაფერი გამოსწორდება.

**— განცხადება იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ შესაძლოა, ვერ გადაიხადოს ტოპმიოლერის სრული კონტრაქტის ფული, თქვენი პროგნოზია თუ კონკრეტულ ინფორმაციას ეფუძნება?**

— საქმეში ჩახედული ხალხისგან ვიცი, რომ სპორტი საქართველოში მალე მთლიანად თვითდაფინანსებაზე გადავა.

**— სპორტი მეტწილად უკვე არის თვითდაფინანსებაზე — შექმნილია საქართველოს ოლიმპიური ფონდი, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებს...**

— ვფიქრობ, პატარკაციშვილს მხოლოდ თბილისის „დინამოსთვის“ რომ მიეხედა, ეს უფრო კარგ შედეგს მოგვიტანდა, მაგრამ პატარკაციშვილი სპორტის რამდენიმე სახეობას მოედო...

**— თქვენ რომ იყოთ ხელისუფლებაში, ფეხბურთისთვის რა კონკრეტულ პროგრამას განახორციელებდით?**

— კლუბებს გამოვუყოფდი იმსაბაზო თანხას, რითაც ნორმალურ ფუნქციონირებას დაიწყებდნენ და ამ კლუბების მესვეურებს, რომლებიც სააქციო საზოგადოებას შექმნიდნენ, საქმის კარგად წარმოების შემთხვევაში საგადასახდო შეღავათებით წავახალისებდი. განსაკუთრებულ კონცენტრირებას მოვახდენდი ტრადიციულ კლუბებზე. ეს არის დაახლოებით ის, რაც გააკეთა ოზალმა.

**— საგადასახადო შეღავათები ყოველთვის ზრდის კორუფციის რისკს...**

— ეს ოზალმაც კარგად იცოდა, მაგრამ მაინც წავიდა ამაზე, რადგან სხვა გზა არ იყო. ფაქტია, რომ ამ გზამ შედეგი მოიტანა.

**— ანუ სახელმწიფოს დახმარების გარეშე ქართულ ფეხბურთს საშველი არანაირად არ უჩანს?**

— ხელის წაკვრა ყველა ქანქარას სჭირდება და ეს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს.

**დავით თავართქილაძე**

# მამლები საქართველოს ოსერში დაუხვდებიან

საფრანგეთ — საქართველოს ევროშესარჩევ მატჩს ოსერი უმასპინძლებს. როგორც იცით, ეს შეხვედრა გაისად 6 ივნისს გაიმართება და კლაუს ტოპმიოლერის გუნდისთვის რიგით მეშვიდე იქნება მიმდინარე ციკლში.

ოსერი საფრანგეთის პატარა ქალაქია, რომელიც ისტორიულ ბურგუნდიის ცენტრში მდებარეობს. ოსერს მსოფლიოში თუ რამით იცნობენ, პირველ რიგში სწორედ საფეხბურთო კლუბით — უფრო სწორად, ლეგენდარულ მწვრთნელ გი რუთი.

„აბე დეშანი“ — ასე ჰქვია ოსერის 22-ათასიან სტადიონს, სადაც „მამლები“ არცთუ ხშირად თამაშობენ.

**ილია ნანობაშვილი**

### პორტუგალია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი

ბენფიკა 4:0 ბელენენსეში

### საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი
პირველი მატჩები

კერკირა 0:0 იონიკოსი

ოფი 1:1 ლარისა

პაოკ 1:0 ერგოტელისი

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XVI ტური

ბარსელონა 1:1 ატლეტიკო

სეგუნდადივიზიონი. XVIII ტური

ერკულესი 2:2 ვალიადოლიდი

ალავესი 1:0 ხერესი

სპორტინგი 2:0 ლას პალმასი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XX ტური

სტრასბური 1:0 ამიენი

# დარასელია, ორბელაძე, სილაგაძე: მოსკოვის მერეც ბოლნისის სიონში?



კახა ცხადაძე ახალწვეულებით კმაყოფილია

**ბოლნისის** „სიონის" თანამეგობრობის თასისწინა სამზადისთან დაკავშირებით გუშინ თამაზ სტეფანიას სტადიონს ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი და ბოლნისის გამგებელი გიორგი არევაძე ესტუმრნენ. გუნდის თავკაც კახა ცხადაძესთან საუბრის შემდეგ მხარის გუბერნატორმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „სიონი" მოსკოვში გაძლიერებული შემადგენლობით გაემგზავრება, იქამდე კი შეკრებას ან ბორჯომში გაივლის, ანაც თბილისში.

გუნდის შეკრებასა და დაკომპლექტებაზე უფრო კონკრეტული კომენტარი კი ცხადაძემ გააკეთა...

„პირველი წრის შემდგომ მცირე შესვენებას ხვალ ვასრულებთ. შევიკრიბებით და მომავალი სეზონისთვის მზადებას შევუდგებით. მოსკოვში გაძლიერებული შემადგენლობით გავემგზავრებით. ვიტალი დარასელიას, ლევან სილაგაძესა და სერგო ორბელაძეს უკვე მოველაპარაკეთ — ისინი მოსკოვში დაგვეხმარებიან. ჯერ ადრეა საუბარი, მაგრამ ეგებ საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრეშიც ჩვენთან ითამაშონ. რუსთავის „ოლიმპის" მოთამაშეები გიორგი სეთურიძე, გიორგი კახელიშვილი, ლაშა ქებაძე და თორიკე აფციაური კი ალბათ მხოლოდ „თანამეგობრობის თასზე" დაგვემატებიან. ამ ოთხეულის თაობაზე „ოლიმპის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები ჯერაც მიდის. საბოლოო თანხმობა არ მიგვიღია, მაგრამ იმედია, ამ მხრივ პრობლემა არ შეგვექმნება. რუსთავური კლუბის ხელმძღვანელობამ ჩვენს თხოვნას გულისყურით მოუსმინა, რისთვისაც მადლობას მეტი არაფერი გვეთქმის. თუ ამ შვიდი ფეხბურთელით გაძლიერება მოვახერხეთ, დარწმუნებული ვართ, რუსეთში სერიოზული გუნდით ჩავალთ."

**ლუკა თალაკვაძე**



ქუთაისის „ტორპედოს" ახალი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე მუშაობას ორ-სამ დღეში დაიწყებს. საჩემპიონო გუნდიდან შედარებით მოკრძალებულში გადასვლას, ცხადია, გარკვეული ცვლილებები უნდა მოჰყვეს და იმის გასაგებად, თუ რა მიზანი ექნებათ რიონისპირელებს მეორე წრეში, გიორგი კიკნაძეს დავუკავშირდით...

## კიკნაძე და ტორპედო მომავალზე ფიქრობენ

**— რამდენხნიან კონტრაქტზე შეუთანხმდით „ტორპედოს"?**

— ოფიციალური ხელშეკრულება ჯერ არ გაგვიფორმებია. ორ-სამ დღეში კიდევ შევხვდები ხელმძღვანელობას და დეტალებიც უფრო ზუსტად მაშინ გაირკვევა.

**— რა მიზნებს ისახავთ სამეორეწრეოდ?**

— ამ სეზონში ძირითადად ბირთვის ჩამოყალიბებას ვეცდებით. მომავალი სეზონისთვის კი საჩემპიონოდ ამბიციური გუნდის გაკეთება გვინდა.

**— თასზეც მონაწილეობთ და მეოთხედფინალში ხართ. არც ამ მხრივ გეგმავთ რამეს?**

— ყველაფერი სატრანსფერო ფანჯრისას სწორ მუშაობაზე იქნება დამოკიდებული. გააჩნია, ამ პერიოდს როგორ გამოვიყენებთ.

**— ირაკლი სირბილაძე თითქმის ტორპედოელია. კიდევ ვის დამატებას აპირებთ?**

— კონკრეტულად ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. ხელმძღვანელობასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ყველაფერი გაირკვევა.

*როგორც ჩანს, კიკნაძე „ტორპედოს" მხოლოდ სეზონის ბოლომდე არ ჩაიბარებს. მისი ნაუბრიდან გამომდინარე, კონტრაქტი, სულ მცირე, წელიწადნახევრიანი იქნება.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მაგიური ორმოცდაორი
## ...როცა უფსკრული სამოცდაათ ნაბიჯშია



**2006 წელი** საქართველოს ნაკრებმა ფიფა-„კოკა-კოლას" რეიტინგში 94-ე ადგილზე ჩაამთავრა.

ალბათ, გაინტერესებთ, როდის რომელ ადგილზე იყო ჩვენი ეროვნული გუნდი დასაბამიდან დღემდე.

საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგში პირველად 1995 წლის თებერვალში შეიყვანეს, მას შემდეგ, რაც საქართველომ თავის პირველ შესარჩევ ციკლში დაიწყო თამაში.

42 — ეს კი ის რიცხვია, რომელიც დღემდე საუკეთესოა ჩვენი ეროვნული გუნდის ისტორიაში. 42-ე ადგილზე საქართველო 1998 წლის სექტემბერში დაფიქსირდა და ის წელი საქართველომ თავისთვის ასევე სარეკორდო, 52-ე ადგილზე დაასრულა.

მაშინდელი აღმასვლა ერთი წლით ადრე, 1997-ის აგვისტოში დაიწყო და ალბათ საინტერესოა, როგორი იყო გზა 42-ე ადგილამდე. მოდით, იმ ერთ წელიწადში ჩატარებული მატჩები გავიხსენოთ:

0:0 იტალია, 1:0 მოლდოვა, 3:0 პოლონეთი, 2:1 ლატვია, 3:0 ალბანეთი, 3:1 მალტა, 1:1 ტუნისი, 1:1 რუსეთი, 0:1 აზერბაიჯანი, 0:4 უკრაინა, 1:0 ალბანეთი.

სულ: 11 მატჩი, 6 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება, ბურთები 15:9.

სადაც საუკეთესო ვთქვით, ყველაზე ცუდიც ვახსენოთ: 2004 წლის სექტემბერში საქართველო 112-ე იყო მსოფლიოში. დაღმასვლა 2003 წლის სექტემბრიდან დაიწყო და მოდით, ეს სერიაც გავიხსენოთ:

0:2 ირლანდია, 3:0 ალბანეთი, 1:3 ალბანეთი, 1:3 რუსეთი, 0:3 რუმინეთი, 1:3 კვიპროსი, 0:2 სომხეთი, 0:1 ისრაელი, 0:1 მოლდოვა.

სულ: 9 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 8 წაგება, ბურთები 6:18.

დანარჩენ სტატისტიკას ქვემორე ცხრილში ნახავთ...

**კახა შალამბერიძე**

| თვე | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იანვარი | - | 79 | - | - | 54 | 66 | 66 | 58 | 92 | 93 | 106 | 105 |
| თებერვალი | 98 | 79 | 96 | 55 | 54 | 60 | 66 | 60 | 92 | 94 | 102 | 105 |
| მარტი | - | - | - | 56 | 54 | 65 | 67 | 60 | 93 | 98 | 100 | 104 |
| აპრილი | 100 | 71 | 100 | 57 | 56 | 64 | 68 | 55 | 93 | 98 | 102 | 101 |
| მაისი | 93 | 75 | 102 | 52 | 56 | 64 | 73 | 59 | 84 | 99 | 100 | 101 |
| ივნისი | 83 | - | 97 | - | 59 | 64 | 79 | - | 86 | 102 | 102 | - |
| ივლისი | 85 | 85 | 99 | 44 | 63 | 65 | 79 | 55 | 88 | 105 | 103 | 87 |
| აგვისტო | 86 | 90 | 99 | 46 | 65 | 68 | 72 | 53 | 91 | 109 | 103 | 84 |
| სექტემბერი | 100 | 92 | 94 | 42 | 62 | 68 | 59 | 71 | 81 | 112 | 104 | 93 |
| ოქტომბერი | 77 | 94 | 74 | 59 | 62 | 62 | 59 | 77 | 87 | 105 | 100 | 98 |
| ნოემბერი | 77 | 95 | 72 | 55 | 65 | 64 | 59 | 81 | 92 | 107 | 100 | 95 |
| დეკემბერი | 79 | 95 | 69 | 52 | 66 | 66 | 58 | 90 | 93 | 104 | 104 | 94 |

# ვიტ ჯორჯია-დინამოს მეხუთე შეთანხმება
## რა და როგორ იყო დილმელაშვილამდე



ალექსანდრე გოგობერიშვილი


ლევან მელქაძე



სანდრო იაშვილი



ლაშა ნოზაძე


დავით დილმელაშვილი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, 26 წლის დავით დილმელაშვილი ორი დღის წინ თბილისის „ვიტ ჯორჯიადან" თბილისის „დინამოში" გადავიდა. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა — კონკურენტი გუნდიდან ლიდერი ფეხბურთელი კონკურენტ გუნდში გადავიდა და თანაც, როგორც თავისუფალი აგენტი. მიუხედავად იმისა, რომ დილმელაშვილს კიდევ აკავშირებდა კონტრაქტი „ვიტ ჯორჯიასთან".

— გავითვალისწინეთ დილმელაშვილის დამსახურება კლუბის წინაშე და კეთილი ნება გამოვიჩინეთ — როგორც თავისუფალი აგენტი, ისე გავუშვით „დინამოში" — განუცხადა გუშინ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

შესაძლოა, მალე „ვიტ ჯორჯიას" სხვა ფეხბურთელებმაც მოისურვონ „დინამოში" ან სხვა გუნდში გადასვლა და ასეთ შემთხვევაშიც თუ ისევ „დამსახურების გათვალისწინებით" იმოქმედებს „ვიტ ჯორჯია", რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ამ კლუბის საქმეა...

„ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოს" სატრანსფერო ურთიერთობა ახალი არ არის და მხარეებს, როგორც ჩანს, მართლაც კარგად გამოსდით ეს საქმე.

„ვიტ ჯორჯიადან" „დინამოში" პირველი ხმაურიანი ტრანსფერი 2002 წლის ზამთარში განხორციელდა. არაოფიციალური, მაგრამ კულუარული ცნობით, „ვიტ ჯორჯიამ" 25 წლის ალექსანდრე გოგობერიშვილი 150 000 დოლარის საფასურად დაუთმო „დინამოს". ვიტელებმა მაშინ მართლაც გამჭრიახად იმოქმედებს: 2000 წელს ყოფილი დინამოელი გოგობერიშვილი 50 ათას დოლარად (ესეც სარწმუნო-კულუარული ცნობაა) გამოისყიდეს მახაჩყალის „ანჟიდან" და მერე მის ყოფილ გუნდ „დინამოს" სამი ამდენად მიჰყიდეს.

2003 წელს „ვიტ ჯორჯიადან" „დინამოში" ლევან მელქაძე გადავიდა. საფეხბურთო მილეთში მაშინაც გაჟღერდა სატრანსფერო თანხა — 350 000 დოლარი, ოფიციალურად კი ამ ტრანსფერის ფასზე არაფერი თქმულა, თუმც ისევე, როგორც გოგობერიშვილის შემთხვევაში, არც „დინამოს" და არც „ვიტ ჯორჯიას" არ უარუყვიათ, რომ ტრანსფერი ფული დაჯდა. სხვათა შორის, მელქაძეც გოგობერიშვილის დარად, „ვიტ ჯორჯიამდე" დინამოელი იყო — „ვიტ ჯორჯია" აქაც გამჭრიახი გამოდგა.

იმავ 2003 წელს განხორციელდა კიდევ ერთი საინტერესო ტრანსფერი — „ვიტ ჯორჯიადან" „დინამოში" 18 წლის ფორვარდი სანდრო იაშვილი გადავიდა. ვიტელთა პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ „სარბიელს" უთხრა, იაშვილების ოჯახთან მეგობრობა მაკავშირებს, მეგობრობას ფულზე მაღლა ვაყენებ და ამიტომაც სატრანსფერო თანხის გადაუხდელად გავუშვით იაშვილი „დინამოში".

ვფიქრობთ, არც ისაა უმნიშვნელო დეტალი, რომ იაშვილი „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში, ფაქტობრივად, ვერ ხვდებოდა, „ვიტ ჯორჯიას" მაისურით უმაღლეს ლიგაში მხოლოდ 7 უგოლო მატჩი ეთამაშა.

2005 წელს ვიტელთა კაპიტანი ლაშა ნოზაძეც „დინამოს" წევრი გახდა, თუმცა აქ ყველაფერი გასაგებია — ნოზაძე თავისუფალი აგენტი იყო.

დილმელაშვილი კი „ვიტ ჯორჯიას" გული და სული იყო. ქართული კლუბებისთვის შემოსავლის ფაქტობრივად ერთადერთი წყაროც ტრანსფერებია და „ვიტ ჯორჯიას" ასეთი სულგრძელობა, როგორადაც ეს ოფიციალური განცხადებიდან ვიცით, მართლაც უცნაური იყო.

**დავით თავართქილაძე**

კრივოი როგის „კრივბასის" ახალმა მწვრთნელმა ოლეგ ტარანმა უკვე დაგეგმა მოსამზადებელი ეტაპი — 3-13 იანვარს გუნდი უკრაინაში ივარჯიშებს, მზადების მეორე ეტაპს კი თურქეთში გაივლის.

კლუბის პრეზიდენტ ალექსანდრ ლივშიცის თქმით, ამ შეკრებებზე 35 ფეხბურთელი იქნება, მათ შორის ის თოთხმეტი, რომელთაც კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებთ. „კრივბასს" ეკუთვნიან ქართველებიც — ვლადიმერ ბურდული და ვასილ გიგიაძე, ვისი გადაბირებაც რამდენიმე კლუბს სურს...



### გიგიაძეს საუკეთესოობის საუკეთესო შანსი აქვს
# ვისი წელი იქნება 2006?

— მეც გავიგე, რომ მეორე წრეში „კრივბასს" ოლეგ ტარანი გაწვრთნის. ახლა მიჭირს მასზე რაიმეს თქმა, რადგან არ შევხვედრივარ და არც ვიცნობ. 3 იანვარს ჩავალ კრივოი როგში და დაველაპარაკები.

— ვიცით, რომ რამდენიმე კლუბი გეპატიჟება...

— ოთხი-ხუთი უკრაინული და ორი რუსული კლუბია, კონკრეტულად გადაწყვეტილი კი არაფერია.

— და სად გირჩევნია თამაში — უკრაინაში თუ რუსეთში?

— უკრაინა მირჩევნია, კარგა ხანია, იქ ვთამაშობ და უკვე შევეჩვიე. რუსეთში კი შეიძლება გადაწყობა დამჭირდეს.

— უკრაინაში კი ამ სეზონის ბომბარდირობის შანსიც გაქვს...

— ეს მეორეხარისხოვანია. ბომბარდირობას ამბიციურ კლუბში თამაში მირჩევნია. თუმცა ბომბარდირობის ასეთი შანსი ჯერ მართლა არ მქონია და ვეცდები, გამოვიყენო.

*და ერთიც: მომავალ კვირაში გიგიაძე, შესაძლოა, 2006 წლის უკრაინის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელონ. ამ გამოკითხვაში უმაღლესი ლიგის მწვრთნელები და მოთამაშეები მონაწილეობენ.*

*უკვე ცნობილია ის ექვსი კანდიდატი, რომეთაგანაც შეირჩევა საუკეთესო. ესენი არიან: სერგეი ნაზარენკო, სერგეი რებროვი, ანატოლი ტიმოშჩუკი, მათუზალემი, სერგეი ზაკარლიუკა და ვასილ გიგიაძე.*

*როგორც ხედავთ, მხოლოდ გიგიაძე და ბრაზილიელი მათუზალემი არიან ლეგიონერები.*

*ჰო, გამოკითხვას პოპულარული უკრაინული გამოცემა „კომანდა" ატარებს...*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მოდებაძე თურქეთში უნდა დაბრუნდეს




**ზაპოროჟიეს** „მეტალურგს" შვებულება დაუმთავრდა და სამეორეწრეო სამზადისს შეუდგა. გუნდთან ერთად მხოლოდ ერთი ქართველია — დავით კვირკველია. თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე კი ახალნაოპერაციებია და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის.

მოდებაძეს პირველ წრეშიც აწუხებდა ფეხი, მაგრამ გამაყუჩებლებით თამაშობდა და მკურნალობა არდადეგებზე გადაწყვიტა — ოპერაცია ებრაელმა ექიმებმა გააკეთეს და, როგორც „მეტალურგის" პრესსამსახური იტყობინება, ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა.

აქვე გეტყვით, რომ ზაპოროჟიელები პირველ შეკრებაზე 8 იანვარს თურქეთში წავლენ, სადაც ალბათ კვირკველიასთან ერთად მოდებაძეც განაახლებს ვარჯიშს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კახამ გაატანინა და გამოიტანა

**იტალიურმა** „მილანმა", როგორც იქნა, მოიგო: „კატანიასთან" შინ 3:0 — და ამაში თავისი წილი კახა კალაძემაც დაიდო. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ჯერ ალბერტო ჯილარდინოს გაატანინა, მერე კი „მილანი" იხსნა გაშვებული გოლისგან — კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

იტალიურმა „გაძეტა დელლო სპორტმა" ჩვენებურს 6,5 ქულა დაუწერა. „მილანი" ახლა მე-13 ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

**ოთარ მხეიძე**






ლამპარდის საცოლე და ლამპარდის მძღოლი...

# მძღოლი საწოლში

## ლამპარდმა კატალონიამდე კატალონიელი...

**გახსოვთ** ფრენკ ლამპარდის ზღაპრული გოლი „კამპ ნოუზე"? შემოტრიალებით რომ ჩააზვია სრულიად დაუჯერებელი ბურთი...

თუმცა არანაკლები ჩახვევა-შეხვევები წინა ღამით დატრიალებულა „მეფე კარლოსის" სასტუმროში, სადაც „ჩელსი" ცხოვრობდა.

იქ, ლამპარდმა მძღოლი მონჩე ლუკასი ჩაიკოტრიალა საწოლში, გოგომ კი ცოტა შეიცადა და ისტორია გაყიდა.

მოგეხსენებათ, ლამპარდს საცოლე ელენიც ჰყავს და მისგან კიდევ შვილიც.

მონჩე კი ბარსელონაში „ჩელსისთან" ერთად ჩასული ფრენკისა და მისი აგენტის, სტივ კატნერის მიმაგრებული მძღოლი ყოფილა. თავიდან ისინი სხვა სასტუმროში მდგარან, „მეფე კარლოსში" კი მერე გადასულან.

მონჩემ, რომელიც მძღოლად მუშაობს, არც კი იცოდა, ვის ემსახურებოდა: კატნერი დაურეკავდა, აქ ვართ, მოგვაკითხე და წაგვიყვანეო და ეგ იყო. ერთ საღამოსაც მონჩეს „კარპე დიემ ლონჯის" კლუბში წაუყვანია ფრენკი და სტივი. მათ ძალიან გვიან დაურეკავთ, მოგვაკითხეო და მერე შიგნითაც შეუწვევიათ გოგო.

მონჩეს კი გაჰკვირვებია, ამ ბიჭს რაღაც ძალიან ბევრი გოგო ეხვევა და ავტოგრაფებს ართმევსო, მაგრამ არაფერი უკითხავს.

ფრენკს ბარე სამი კათხა ჩაუცლია და უთქვამს, შენ ეტყობა არ იცი, რომ ცნობილი ფეხბურთელი ვარ და ზეგ „ბარსელონას" უნდა ვეთამაშოთო. მოკლედ, იმ დღეს არაფერი მომხდარა, ესაა, რომ სტივი მონჩეს დაპირებია, ეგებ თამაშის ორი ბილეთი გიშოვოო და ტელეფონიც მიუცია. ხვალ, „მეფე კარლოსის" სასტუმროში ლობიში დავტოვებთ ბილეთებსო. ფრენკი რომ თვრებოდა, სტივი თურმე მოწყენილი იჯდა და გოგოს უკითხავს, დაღლილი ხარ და შინ რატომ არ წახვალო. ამის მენეჯერი ვარ და ვერ მივატოვებო, მიუგია სტივს.

მონჩეს მეორე დღეს მესიჯი უფრენია სტივისთვის, ბილეთებიო. ჯერ ვერ ვიშოვე, საღამოსკენ შემეხმიანეო, მოუწერია ამას. საღამოს კი გოგო პირდაპირ წასულა სასტუმროში, ძალიან მინდოდა ბილეთი ჩემი ძმიშვილისთის მეჩუქებინაო.

ლობიში ბილეთები არ აღმოჩნდა და გოგო ფრენკის ნომერში ასულა.

კარი ღია ყოფილა.

ალბათ გულიც.

შამპანურიც იქავე მდგარა.

ფრენკი „ჩელსის" სამოსში გამოწყობილიყო.

ჰაი-ჰუი და კოცნები. ნელ-ნელა დაწყებულა. ფრენკი კაი ტკბილად ნასვამი ყოფილა.

კაი ბიჭიაო, კმაყოფილია მონტსე ლუკასი. ჩაძინებული დავტოვე და წამოვიღე ჩემი ორი ბილეთი, თუმცა, სტადიონზე არ წავსულვარ, თამაშს ტელევიზორში ვუყურე, ბილეთები ძმიშვილს მივეციო.

.რაღა დავმალოთ და, გოგოს თურმე ენატრება კიდეც ფრენკი.

როცა ინგლისური გაზეთები ამ ამბავს ბეჭდავდნენ, ფრენკი მინდორზე იყო: „ნიუკასლს" ლიგის თასის მატჩს ეთამაშებოდა. ამიტომ მისი ტელეფონი მედიისთვის დუმდა.

ალბათ, კვლავაც დამუნჯებული დარჩება.

ამ საკითხში, რა თქმა უნდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მოსკოვის სპარტაკი გამოტირასპოლდა

**როგორც ჩანს,** მთელი რუსეთი პოლიტიკურ ციებ-ცხელებას ჰყავს შეპყრობილი. საქმე იქამდეა მისული, რომ მოსკოვის „სპარტაკი" 14 თებერვალს ესპანური „სელტას" უეფას თასზე მასპინძლობას... ტირასპოლში აპირებს. სად არის აქ პოლიტიკა? ტირასპოლი მოლდოვასგან გამოგლეჯილი, თვითაღიარებული დნესტრისპირეთის დედაქალაქია.



„სპარტაკის" გენერალური დირექტორი სერგეი შავლო

თქვენი ნებართვით სურათს ერთხელაც გადავავლებთ თვალს: ჩვენს წინაშეა ფეხბურთის გუნდი, რომელმაც იცის, რომ თებერვალში მის ქალაქში ცივა, თოვს და ამიტომ ესპანელების სამასპინძლოდ ნორმალურ სტადიონს ეძებს. ეძებს ეს გუნდი ნორმალურ სტადიონს, ეძებს და თავის უკიდეგანო ქვეყანაში ვერ პოულობს, რის გამოც იძულებულია საზღვარგარეთზე გადავიდეს. როგორც ირკვევა, ნორმალური სტადიონის მოძებნა აქაც ძალიან ძნელია, რადგან ასეთი არსად არ ჩანს დნესტრისპირეთის გარდა. მხოლოდ იქ, ნაკლებად საფეხბურთო დნესტრისპირეთში ჰქონიათ მავანთ (ალბათ, ყოველი შემთხვევისთვის დაკონსერვებული) ისეთი მოედანი, ნაგებობა და ინფრასტრუქტურა, უეფას თასის მოთხოვნებს რომ დააკმაყოფილებს.

გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ იმ გარემოებასაც, რომ საქმე ეხება რუსეთს ანუ ქვეყანას, რომლის შესახებაც ტელეეკრანიდან თუ გაზეთებიდან ყოველდღე გვიმტკიცებენ, რომ ის თავის საფეხბურთო ჩემპიონატს აღორძინებს, ხარჯავს ასეულობით მილიონ დოლარს, მისი უმაღლესი დივიზიონის თითოეული კლუბის ბიუჯეტი სავარაუდოდ პატარა ქვეყნების ბიუჯეტებზე დიდია და ეს კლუბები ყიდულობენ მსოფლიოს საუკეთესო ვარსკვლავებს, რომელთაც, შესაბამისად კარგ მინდვრებზეც ათამაშებენ და აი, ამ რუსეთში — ტერიტორიით 17 075 400 კვადრატული კილომეტრი — ვერ იპოვნეს ერთი ხეირიანი საფეხბურთო მოედანი 14 თებერვალს „სელტას" რომ უმასპინძლონ.

თუმცა რას იპოვნიდნენ, როდესაც „სპარტაკის" გენერალური დირექტორის სერგეი შავლოს თქმით კრასნოდარი დაკავებულია, 14 თებერვალს იქ ცესკა ითამაშებს, ხოლო ვლადიკავკაზსა და პიატიგორსკში შეიძლება, რაიმე ხიფათი მოხდეს.

მოკლედ ასე, რუსეთში თამაშის ვარიანტი არ არის და საზღვარგარეთაც... ტირასპოლის გარდა კაპიკად არ უვარგათ მოედნები.

მოკლედ, ტირასპოლი, სადაც ვლადიკავკაზისა და პიატიგორსკისგან განსხვავებით ყველაფერი მშვიდად არის.

ისე, „სელტას" ფეხბურთელებს ვიზები ვინ უნდა მისცეს, მოლდოვამ? ნუ, თავად დნესტრისპირეთი, თვით გენერალი ლებედი რომ გააცოცხლონ მაინც ვერ მისცემს, რადგან ასეთი ქვეყანა იურიდიულად არ არსებობს.

თუმცა, მოხერხდება რამე, მითუფრო, რომ ტირასპოლის სპორტკომპლექს „შერიფის" დირექტორი პიოტრ ლიალიუკი ამბობს, ოღონდ „სპარტაკმა" გადაწყვეტილება მიიღოს და მოედანს იანვრიდანვე ჩაურთავენ გათბობას და ფირფიტითაც გადაფარავენ ისე, რომ ნიადაგში პლუს 14 გრადუსი იქნება.

ძალიან საინტერესოა. ვნახოთ.

**პაპუნა ძიძია**

# ჯონსონმა ბოდიში ჩაიბარა



**„ჩელსის"** მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ევერტონელ ენდრიუ ჯონსონს ცილისწამებისთვის მოუბოდიშა. ეიჯეიმ პორტუგალიელისგან ორშაბათს მოითხოვა ბოდიში და ორ დღეში მიიღო.

შეგახსენებთ, რომ „ევერტონი" — „ჩელსის" (2:3) მატჩში მაურინიუ მასპინძელთა ფორვარდის გაფრთხილებას ითხოვდა, საპენალტედ ისიმულანტაო. გარდა ამისა „ჩელსის" თავკაცმა ევერტონელ კოლეგას დევიდ მოიესიც გაჰკრა კბილი და კლუბი პორტუგალიელის წინააღმდეგ ჩივილს აპირებდა.

სანამ საჩივარს შეიტანდნენ, ჟოზე მაურინიუმ ბოდიშის მოხდა მოასწრო და თქვა, რომ „ევერტონის" ფეხბურთელებს და მწვრთნელს უდიდეს პატივს სცემს. „მიყვარს „გუდისონ პარკზე" თამაში, იქ ყოველთვის განსაკუთრებული ატმოსფეროა — განაცხადა ჩელსელმა — ყვითელ ბარათს კი ვითხოვდი ჯონსონისთვის, მაგრამ მისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, ისე, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი მწვრთნელი, რომლებმაც შარშან ჩემი ფეხბურთელები გალანძღეს. არასოდეს მითქვამს, რომ ჯონსონი თაღლითია და ტყუილად წაიქცა. ვიდეოფირის გამეორების შემდეგ მივხვდი — ეიჯეი სიმულანტი არაა და ყველას ბოდიშს ვუხდი, კლუბსაც, მწვრთნელსაც და ფეხბურთელებსაც".

**ირაკლი ნინიძე**

# კაძოლას ბრძოლა



**იტალიური** „ბოლონიას" პრეზიდენტი ალფრედო კაძოლა დომენიკო მესინას დასჯას ითხოვს. ამ მსაჯმა „იუვენტუსთან" მატჩში მარსელო ძალიეტას არარსებული გოლი რომ ჩაუთვალა, უკვე გაუწყეთ და „როსობლუს" ხელძღვანელობა ამით აღშფოთებულია.

„სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე სტეფანო ტედესკიმ ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს, რასაც უახლოეს დროში ველი. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ჩვენ ამას ვერ შევეგუებით. ეს უბრალო ადამიანური შეცდომა არ იყო და ისინი, ვინც ამგვარად ცდებიან, საერთოდ არ უნდა მსაჯობდნენ, ან ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მიიღონ. არ დავუშვებთ, რომ მთელი ის შრომა, რაც აქამდე გავწიეთ, ასეთი ინციდენტების გამო წყალში ჩაიყაროს. არბიტრს, რომელსაც მაღალ დონეზე მსაჯობა არ შეუძლია, მინდორზე არაფერი ესაქმება. ვეცდებით, კონცენტრაცია არ დავკარგოთ, კარგი გუნდი გვყავს, რაც თამაშით უკვე დავამტკიცეთ. ჩვენი მიზანი კვლავ სერია A-ში დაბრუნებაა" — განაცხადა კაძოლამ.

„იუვენტუსის" პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი: „ასეთი რალაცეები ფეხბურთში ხდება ხოლმე. მსაჯები ზოგჯერ ჩვენს სასარგებლოდ ცდებიან, ზოგჯერ კი ჩვენი მეტოქეების. მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ და სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ. სეზონის დიდი ნაწილი წინ არის".

**გიორგი ძაძამიძე**

# ალემანიაკმა ბაიერნი მეორედ მოკლა

## გერმანია

### თასის მერვედფინალი

**ფიურტი 1:3 ვოლფსბურგი**
0:1 კრჟინოვეკი (17), 0:2 კლიმოვიჩი (56), 1:2 .რიზინგერი (83), 1:3 ჰუგენ-დორპი (90)

**ჰანოვერი 1:0 დუისბურგი**
1:0 ბალიტჩი (45)

**ოფენბახი 2:1 ბურგჰაუზენი**
1:0 ტიურკერი (46), 1:1 ბურხარდტი (73), 2:1 ტომმიოლერი (90)

**ალემანია 4:2 ბაიერნი**
1:0, 2:0 რეგეკამპფი (11, 39), 3:0 ებერსი (44), 3:1 პოდოლსკი (47), 3:2 ვან ბო-მელი (68), 4:2 შლაუდრაფი (90)


AFP აპრენიდან
ლუკაშ პოდოლსკის „ბაიერნი" „ალემანიამ" ჩაწიხლა

**ზედიზედ** ორჯერ თასის მომგები მიუნხენის „ბაიერნი" „ალემანიამ" მერვედფინალიდან გააგდო. ძალიან იშვიათად მომხდარა, რომ „ბაიერნს" ერთ ტაიმში სამი გოლი გაეშვას და სწორედ ეს დაემართა გერმანიის ჩემპიონს აახენში, სადაც რუმინელმა ლაურენტიუ რეგეკამპფმა გაიბრწყინა და დუბლი შეასრულა. მიუნხენელებს არ ჰყავდათ მეკარე ოლივერ კანი, მიხაელ რენსინგმა კი ვერ დაამტკიცა, რომ კანის ღირსეული შემცვლელია.

დაახლოებით სამი წელია „ბაიერნს" სათასო მატჩი არ წაეგო და ბოლოს, 2004 წლის თებერვალში იმავ „ალემანიასთან" დამარცხდა მეოთხედფინალში 1:2.

„პირველივე ტაიმში წავაგეთ თამაში, რადგან საგოლე შანსები ვერ გამოვიყენეთ, დაცვა კი ჩავარდა — განაცხადა ფელიქს მაგათმა — გუნდს თავი ფავორიტად მიაჩნდა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც".

რეგეკამპფმა მე-11 წუთზე საუცხოოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და რენსინგი უსაქმოდ დატოვა. ტაიმის მიწურულს მანვე სხვაობა ორამდე გაზარდა, როცა დაცვამ დარტყმის საშუალება მისცა, ხოლო შესვენებამდე წუთით ადრე „ალემანიას" კონტრშეტევა მარიუს ებერსმა მესამე გოლით დაასრულა.

მეორე ტაიმში ანდრეას ოტლის ნაცვლად ლუკაშ პოდოლსკი შევიდა და უმალ შეძლო ერთის გატანა, შემდეგ სალაჰიმიჯიჩი სანტა კრუზმა შეცვალა, რითაც „ბაიერნმა" შეტევა უფრო გააძლიერა და მარკ ვან ბომელმა შორიდან დარტყით სხვაობა ერთამდე შეამცირა. იერიშებით გართული სტუმრები ბოლოს კონტრშეტევაზე გამოიჭირა შლაუდრაფმა (რომელის ყიდვაც „ბაიერნს" უნდა) და რენსინგს მეოთხედ გამოატანინა ბურთი კარიდან. „ვიცოდით, რომ ძალიან ძნელი თამაში გველოდა, რადგან „ბაიერნს" უმაღლესი კლასის ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ჩვენ გამოვიყენეთ ყველა შანსი, მათ კი ვერა" — თქვა შლაუდრაფმა.

„ვოლფსბურგმა" ცოტა ინერვიულა მეორებუნდესლიგელ „ფიურტთან", რადგან მშვიდად იგებდა 2:0-ს და მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე რაისინგერმა ერთი გოლი გაქვითა, ფიურტელები მას მერე დაცხრნენ, როცა ვოლფსბურგელმა ჰოოგენდორპმა თამაშის ბოლოს მესამე გოლი შეაგდო.

**ირაკლი ნინიძე**




**გერმანიის** ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი პიერ ლიტბარსკი „ავისპა ფუკუოკას" მწვრთნელი გახდა. მას იაპონიაში მუშაობის გამოცდილება უკვე აქვს, იგი აქამდე „იოკოჰამას" წვრთნიდა. 46 წლის სპეციალისტს კლუბის ჯეილიგაში დაბრუნება დაუსახეს მიზნად.

**მაკედონიური** ფეხბურთის ისტორიაში პირველი ბრაზილიელი ლეგიონერი რიკარდუ და კოშტა ოლივეირა გულის შეტევით გარდაიცვალა. „სკენდია ტეტოვოს" 30 წლის ფეხბურთელი მისმა თანამემამულემ აგინალდო დე ბესუს ბრაგამ უგონო მდგომარეობაში აღმოაჩინა. „რიკარდო სააბაზანოში გონდაკარგული ვიპოვე და მაშინვე საავადმყოფოში გადავიყვანეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო" — თქვა ბრაგამ. მაკედონიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გისკო ჰაძიევსკი: „შოკირებული ვარ, იგი ჩინებული ფეხბურთელი გახლდათ, მისი თამაშის ყურება სიამოვნებას გვანიჭებდა".

**გერმანული** „ბოხუმი" კამერუნელი ნახევარმცველი ჯოელ ეპალეთი გაძლიერდა. ბუნდესლიგის ბინადრებმა მასში სალონიკის „ირაკლისს" 600 ათასი ევრო გადაუხადეს. ეპალემ თავის ახალ კლუბთან სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჯოელი გამოცდილი და სწრაფი ფეხბურთელია, რომელიც დაცვაშიც დაგვეხმარება, თავდასხმაშიც და „ბოხუმს" გააძლიერებს" — აღნიშნა კლუბის სპორტულმა დირექტორმა შტეფან კუნცმა.



# სანიოლიც აკაკანდა

**მიუნხენის** „ბაიერნის" ფრანგმა მცველმა კლუბს ჯიბეში ხელის ჩაყოფა და „მილანიდან" კაკას ყიდვა მოსთხოვა. „კაკასნაირი ფეხბურთელი „ბაიერნში" დიდებული იქნებოდა — განაცხადა ფრანგმა — რამდენადაც ვიცი, მას „მილანიდან" წასვლა სურს. ცხადია, კარგ მოთამაშეს იაფად არავინ გაყიდის, მაგრამ აშკარაა, რომ „ბაიერნს" ძლიერი ნახევარმცველი სჭირდება და ამაზე ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას უნდა ვიზრუნოთ".

„მილანს", შევჩენკოს წასვლისა და კალჩოპოლისგან ქულების დაკლების შემდეგ გვარიანად გაუჭირდა და ბრაზილიელის შენარჩუნებას აპირებს, რომელიც ლამის მთავარმეგოლედ იქცა და გუშინწინ „კატანიასთან" დუბლი შეასრულა.

მიუნხენის „ბაიერნს" კი მიხაელ ბალაკის წასვლა დაეტყო, რომელიც „ჩელსიში" გადავიდა, იქვე, სადაც შევჩენკოა. უბალაკო „ბაიერნი" გერმანიის თასიდანაც გავარდა და პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა, არადა ბოლო ორ სეზონში თასიც მოიგო და ჩემპიონიც გახდა.

2000-ში „მონაკოდან" ნაყიდი სანიოლი ახლა 29 წლისაა და კარიერის დასრულებას „ბაიერნში" აპირებს. „2010 წლამდე აქ ვარ და მსურს, კიდევ ერთხელ მოვიგო ჩემპიონთა ლიგა" — თქვა ფრანგმა. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მადრიდის „რეალს" შეხვდება.

**ირაკლი ნინიძე**

# კანის კარიერა
## გაუშვით ბებერი სახლში

**მიუნხენის** „ბაიერნის" კაპიტანმა ოლივერ კანმა განაცხადა, რომ თუ კლუბი ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, იგი ალბათ კარიერას დაასრულებს. 37 წლის მეკარის თქმით, 2008 წლის ზაფხულში, როცა მის კონტრაქტს „ბაიერნთან" ვადა გაუვა, იგი ნამდვილად „ჩამოკიდებს ბუცებს ლურსმანზე ".

„თუ ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ, დიდი შანსია, კარიერა დავასრულო. მინდა, ფეხბურთიდან გამარჯვებულის რანგში წავიდე და ამას ყველანაირად ვეცდები. რა თქმა უნდა, არ მინდა ისე წავიდე, რომ ხალხმა თქვას, გაუშვით ეს ბებერი სახლშიო. რას გავაკეთებ მერე, ჯერ ნამდვილად არ ვიცი" — აღნიშნა კანმა.

მოგეხსენებათ, მან სანაკრებო კარიერა ამ ზაფხულს მუნდიალის მერე დაასრულა. „ბაიერნში" კი კანი 1994 წლის მერე თამაშობს და მიუნხენელებთან ერთად მრავალი ტიტული მოუგია. იგი ორჯერ გერმანიის წლის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს, ხოლო 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**კოკი კანდელაკი**



## ჰოლანდია

### მეორე დივიზიონი
### XXII ტური

**როზენდალი 2:0 დენ ბოსხი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენდალი | 22 | 15 | 5 | 2 | 54:21 | 50 |
| გრააფსხაპი | 21 | 14 | 3 | 4 | 45:23 | 45 |
| ვენლო | 21 | 12 | 4 | 5 | 35:24 | 40 |
| დენ ბოსხი | 22 | 11 | 4 | 7 | 33:27 | 37 |
| დორდრეხტი | 21 | 10 | 4 | 7 | 33:23 | 34 |
| იგლსი | 21 | 9 | 6 | 6 | 31:25 | 33 |
| ვეენდამი | 21 | 7 | 11 | 3 | 36:26 | 32 |
| ვოლენდამი | 21 | 8 | 8 | 5 | 31:23 | 32 |
| ტელსტარი | 21 | 10 | 2 | 9 | 39:35 | 32 |
| ემენი | 21 | 8 | 6 | 7 | 38:30 | 30 |
| ჰაარლემი | 21 | 7 | 8 | 6 | 28:26 | 29 |
| მაასტრიხტი | 21 | 6 | 6 | 9 | 26:30 | 24 |
| ალმერე | 21 | 6 | 6 | 9 | 30:40 | 24 |
| კამბური | 21 | 6 | 5 | 10 | 24:36 | 23 |
| ზვოლე | 21 | 5 | 7 | 9 | 27:27 | 22 |
| აპელდორნი | 21 | 6 | 4 | 11 | 30:41 | 22 |
| ოსი | 21 | 6 | 4 | 11 | 30:48 | 22 |
| სიტარდი | 21 | 5 | 4 | 12 | 19:36 | 19 |
| ეინდჰოვენი | 21 | 3 | 6 | 12 | 25:43 | 15 |
| ჰელმონდი | 21 | 3 | 5 | 13 | 20:50 | 14 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 38 11 14,
877 54 55 00;
Fax: 94 33 80

# ინტერი ლაციოთი რომას მიუახლოვდა




მარკო მატერაცი: გოლი და ენა

## იტალია
## სერია A
## XVII ტური

**მილანი 3:0 კატანია**

1:0 კაკა (4), 2:0 ჟილარდინო (82), 3:0 კაკა (88)
**მილანი:** კალაჩი, კაფუ (შიმიჩი 87), ბონერა, კალაძე, იანკულოვსკი, ბროკი, გატუზო (გურკუფი 90), პირლო, კაკა, ჟილარდინო, რ. ოლივეირა
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**კატანია:** პანტანელი, სილვესტრი, სოტილი, სტოვინი, ლუჩენტი (ვარგასი 55), ბაიოკო, ედუსეი, კაზერტა, მილეზი (კორონა 46), სპინეზი, მასკარა
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
გაფრთხილება: ბონერა, გურკუფი
მსაჯი: დონდარინი
41 232 მაყურებელი

**ლაციო 0:2 ინტერი**

0:1 კამბიასო (39), 0:2 მატერაცი (86)
**ლაციო:** პერუცი, ოდო, სივილია, კრიბარი, ძაური, მუდინგაი (ბეჰრამი 76), ლედესმა, მაური, კ. მანფრედინი (ფოჯა 53), მაკინვა (ტარე 80), პანდევი
მწვრთნელი: დელიო როსი
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, მატერაცი, მაქსველი (ადრიანო 60), ხ. ძანეტი, ვიეირა, კამბიასო, სტანკოვიჩი, კრესპო (ფიგუ 74), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, იბრაჰიმოვიჩი, მუდინგაი, მატერაცი, ოდო, კრიბარი, მაიკონი, პანდევი
გაძევება: იბრაჰიმოვიჩი (45)
მსაჯი: როკი
40 000 მაყურებელი

**ტორინო 1:2 რომა**

0:1 ტოტი (37), 0:2 მანსინი (80), 1:2 როზინა (89)
*ტოტიმ ვერ გაიტანა პენალტი (25, მეკარე)*
**ტორინო:** აბიატი, კომოტო, ო. ბრევი, ი. ფრანჩესკინი, დუდუ, ბარონე, ბალესტრი, გალო (ლაზეტიჩი 79), როზინა, აბრუსკატო (მუცი 57), არდიტო (ფიორე 88)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
**რომა:** ა. დონი, კასეტი, მექსეში, კივუ, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, ვირგა (მონტელა 67), ტადეი, მანსინი (როზი 85), ტოტი (ფერარი 90)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: გალო, კასეტი, მონტელა, ბალესტრი
გაძევება: ფრანჩესკინი (25)
მსაჯი: პაპარესტა
22 000 მაყურებელი

**პალერმო 4:0 ასკოლი**

1:0 ბრეშიანო (14), 2:0 კორინი (53), 3:0 ტედესკო (84), 4:0 კაპუანო (90)
**პალერმო:** ა. ფონტანა, ძაკარდო, ბარძალი, კასანი, მ. პიზანო, გუანა (კაპუანო 81), კორინი, ჯოვანი ტედესკო, ბრეშიანო (პარავიჩინი 50), ამაური, დი მიკელე (ბრიენცა 75)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
**ასკოლი:** პალიუკა, ვასტოლა (გალოპა 56), პეკორარი, ნასტაზე, კუდინი, პ. ძანეტი, ბუდიანსკი (გუბერტი 56), პერული, პესკე (ბოკეტი 75), ფინი, პაოლუჩი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: კორინი, პეკორარი
მსაჯი: გავა
20 000 მაყურებელი

**ატალანტა 1:2 უდინეზე**

1:0 ტისონე (46), 1:1 დე მარტინო (52), 1:2 დი ნატალე (90)
**ატალანტა:** კალდერონი, ბელინი, ლორია, კაროციერი (ადრიანო პერეირა 87), რივალტა, არიატი (ბომბარდინი 81), ტისონე (პინტო 65), დონატი, ბერნარდინი, კ. დონი, ძამპანა
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
**უდინეზე:** დე სანქტისი, დ. ძენონი, ნატალი, ფელიპე, საპატა (კოდა 87), ობოდო, ერიომენკო (დე მარტინო 46), პინცი, პ. ბარეტო, იაკინტა, დი ნატალე
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
გაფრთხილება: ნატალი, ძამპანა, დონი, ბელინი
გაძევება: დე მარტინო (71)
მსაჯი: პიერპაოლი
10 000 მაყურებელი

**კალიარი 0:2 ფიორენტინა**

0:1, 0:2 ტონი (31, 75)
**კალიარი:** ფორტინი, ფ. პიზანო, დ. ლოპესი (ბიზერა 30), ბიანკო, აგუსტინი, ლ. კოლუჩი (ბუდელი 59), კონტი, ბიონდინი, ლანჯელა (პეპე 57), მ. ესპოზიტო, სუაცო
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
**ფიორენტინა:** ფრეი, პოტენცა, უიფალუში, კროლდრუპი, პასკუალი, ბლაზი (იორგენსენი 65), მონტოლივო, გობი (ლივერანი 50), დონადელი, ტონი (სანტანა 80), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: უიფალუში, ლანჯელა, ფორტინი, ბლაზი, გობი
მსაჯი: ჟირარდი
15 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:0 სიენა**

1:0 მარიანინი (47)
**ემპოლი:** ბალი, ლუკინი, ადანი (ვანილი 85), პრატალი, ტოსტო (მარცორატი 64), დ. მორო, მარიანინი, ალმირონი, ბუშე, ვანუკი, გასპარეტო
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
**სიენა:** მანინგერი, ნეგრო (ბრევი 89), გასტალდელო, რინაუდო, მოლინარო (მელსიორი 90), კოდრია (კონკო 75), ვერგასოლა, ანტონინი, ლოკატელი, კიეზა, ფრიკი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: ანტონინი, მორო, კოდრია, ადანი, ლოკატელი, პრატალი
მსაჯი: რომეო
5 000 მაყურებელი

**მესინა 1:1 პარმა**

1:0 დი ნაპოლი (73), 1:1 პაპონი (76)
**მესინა:** სტორარი, ძანკი, იულიანო, რეა (მორელო 31), პარიზი, ლავეკია, დე ვეცე კორდოვა (კ. კოპოლა 75), მაზიელო, ფლოჩარი, დი ნაპოლი
მწვრთნელი: ბრუნო ჯორდანო
**პარმა:** ბუჩი, ფერონეტი, პაჩი, მ. როსი, პ. კასტელინი, კიარამიტარო (დედიჩი 75), დესენა, ჩიგარინი, გასბარონი (პაპონი 75), პიზანუ (ბოკეტი 87), ბუდანი
მწვრთნელი: სტეფანო პიოლი
გაფრთხილება: დე ვეცე, პარიზი, ბუჩი
მსაჯი: ჯანნოჩარო
6 000 მაყურებელი

**კიევო 3:2 რეჯინა**

0:1 ამორუზო (16), 1:1 სამარკო (26), 2:1 კოსატო (43), 2:2 მოდესტო (78), 3:2 ტირიბოკი (88)
**კიევო:** სიჩინიანო, მალაგო, მანდელი, დანა, მარკეზე, სამარკო, ძანკეტა, მარკოლინი, სემიოლი (კოსოვსკი 90), კოსატო (პელისიერი 55), ობინია (ტირიბოკი 75)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
**რეჯინა:** პელიცოლი, ლანძარო, ჯიოზა (დი დიო 52), ა. ლუკარელი, მოდესტო, ამერინი (ესტევესი 62), ტონოცი (ნილსენი 75), მესტო, ჯაკომო ტედესკო, მისიროლი, ამორუზო
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: მისიროლი, მალაგო, მარკოლინი, ამერინი, ლანძარო, ლუკარელი
მსაჯი: ფარინა
5 000 მაყურებელი

**სამპდორია 4:1 ლივორნო**

0:1 ვიჯანი (12), 1:1 ფრანჩესკინი (26), 2:1 ფლაკი (30), 3:1, 4:1 კალიარელა (47, 57)
**სამპდორია:** კასტელაცი, კ. ძენონი, მაჯო, ფალკონე, აკარდი, კალიარელა (პიერი 79), ვოლპი, პალომბო (დ. მოტა 85), დ. ფრანჩესკინი, ფლაკი, ბონაცოლი (ბაცანი 68)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
**ლივორნო:** ამელია, გრანდონი, კუფური, პფერცელი, რეზაეი, ბალერი (ბაკაიოკო 61), პასონი, მორონე, ა. ფილიპინი, ვიჯანი (ვიდიგალი 72), კ. ლუკარელი (დანილევიჩუსი 46)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: კალიარელა, ბალერი, კუფური, ლუკარელი
მსაჯი: პალანკა
25 000 მაყურებელი

**„ინტერი“** ისევ შვიდი ქულით ლიდერობს — ოთხშაბათს რობერტო მანჩინის ბიჭებმა „ლაციოს“ 2:0 მოუგეს, რაც სერია A-ში მათი ზედიზედ მეათე გამარჯვება გახლდათ.

„შავ-ლურჯების“ ნახევარმცველმა ესტებან კამბიასომ დააწინაურა, რასაც 6 წუთის შემდეგ მათი თავდამსხმელის ზლატან იბრაჰიმოვიჩის გაძევება მოჰყვა. იბრაჰიმოვიჩმა შეტევაში მიიღო ყვითელი ბარათი, ამ შეხვედრაში მეორე. ასე და ამგვარად, მეორე ტაიმში რომაელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, რაც თითქოს უნდა გამოეყენებინათ კიდეც — „ლაციო“ ხომ ის გუნდია, რომელმაც ორი ტურის წინ „რომას“ 3:0 მოუგო — მაგრამ, ვაგლახ, ბურთი მეორე ტაიმშიც „ბიანკოჩელესტის კარში შევარდა, და იგი თავური დარტყმით მარკო მატერაციმ გაიტანა. ერთი სიტყვით, მილანელებს ახლა ერთი მოგებაც სჭირდებათ და ისინი „რომას“ მიერ გასულ სეზონში დამყარებულ, მიჯრით გამარჯვებით რეკორდს დაამყარებენ. და კიდევ ერთი „ინტერის“ შესახებ: პირველი შემთხვევა არ არის, რომ ამ გუნდის გოლები თავდამსხმელებს კი არა, ნახევარმცველებს და მცველებს გააქვთ, არადა კაცმა მათი ფორვარდების გვარები რომ ჩამოთვალო, შთაბეჭდილების ქვეშ მოექცევი: ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო, ერნან კრესპო, ხულიო კრუზი...

ხოლო „ინტერის“ მდევარმა „რომამ“ ტურინში „ტორინოს“ მოუგო. ანგარიში 37-ე წუზთე ფრანჩესკო ტოტიმ გახსნა — ერთი ხნით ადრე პენალტი ვერ გამოიყენა და ამ გოლით, ერთგვარად, დანაშაული გამოისყიდა. სტუმართა მეორე გოლი საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე „ჯალოროსის“ ბრაზილიელმა გარემარბმა მანსინიმ შეაგდო, რასაც ტურინელმა ალესანდრო როზინამ ეგრეთწოდებული პრესტიჟის გოლით უპასუხა.

მესამე ადგილზე მოდის „პალერმო“, რომელმაც ცხრილის ფსკერზე დალექილი „ასკოლი“ 4:0 დაამარცხა.

„მილანმა“ მოიგო! ამ შემოდგომაზე „შავ-წითლების“ გამარჯვება ხომ იშვითობად იქცა. მილანელებმა დაამარცხეს „კატანია“ — 3:0. სამიდან ორი გოლი კაკამ შეაგდო, ხოლო ერთი ალბერტო ჯილარდინომ, რომლისთვისაც ეს მეორე მატჩში მესამე გოლი გახლდათ. ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ ორ გამორჩეულ ეპიზოდში მიიღო მონაწილეობა. პირველი ჯილარდინოს გოლი გახლდათ — ჯენარო გატუზოს პასი გოლის ავტორს სწორედ კალაძემ „გადაუგზავნა“, მეორედ კი აკრობატული ნახტომით კასეტრას დარტყმულ ბურთს გადაეფარა და დაუცველ კარში არ გაუშვა. ეს, სხთავა შორის, შეხვედრის ბოლო მომენტი გახლდათ.

ახლა კი სტატისტიკისა და მისი ინტერპრეტაციის შესახებ.

„სტატისტიკა მეტყველებს, რომ ვინც პირველ წრეში იმარჯვებს, მეტწილად ჩემპიონიც ის ხდება — თქვა „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ — იმედი მაქვს, რომ ამ სეზონშიც იგივე მოხდება. ჩვენ რომ არგენტინის ჩემპიონატში ვმონაწილეობდეთ, უკვე დაგვაჯილდოვებდნენ, მაგრამ იტალიაში შეჯიბრება 38 ტურიანია და ამდენად ჯერ არაფერი მოგვიგია. „ლაციოსთან“ შეხვედრაში ათი კაცით რომ დავრჩით, არც მაშინ გაგვიწევია ბევრი რისკი. ერთი ეგ იყო, ბოლოსკენ გაგვიჭირდა, რადგან „ლაციო“ „ლაციოა“. ჩვენ რომაელებს ინიციატივა თავიდანვე ვუბოძეთ და თამაშის გაკონტროლება შევძელით. რაც შეეხება იბრაჰიმოვიჩის გაძევებას, ვფიქრობ ის ეპიზოდი ყვითელ ბარათს არ იმსახურებდა. სასტვენის ხმა რომ გაისმა, იბრას ბურთის დასარტყმელად მოძრაობა უკვე დაწყებული ჰქონდა და ეს მსაჯისგან ადამიანურად სწორ შეფასებას საჭიროებდა“.

**პაპუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 17 | 14 | 3 | 0 | 36:14 | 45 |
| რომა | 17 | 12 | 2 | 3 | 38:15 | 38 |
| პალერმო | 17 | 11 | 1 | 5 | 34:22 | 34 |
| სამპდორია | 17 | 6 | 5 | 6 | 26:22 | 23 |
| უდინეზე | 17 | 6 | 5 | 6 | 19:18 | 23 |
| კატანია | 16 | 6 | 5 | 5 | 21:29 | 23 |
| ლაციო | 17 | 7 | 4 | 6 | 26:16 | 22 |
| ემპოლი | 16 | 5 | 7 | 4 | 13:13 | 22 |
| ატალანტა | 17 | 5 | 6 | 6 | 26:27 | 21 |
| ლივორნო | 17 | 5 | 6 | 6 | 17:23 | 21 |
| ტორინო | 17 | 5 | 6 | 6 | 13:19 | 21 |
| სიენა | 17 | 4 | 8 | 5 | 14:18 | 19 |
| მილანი | 17 | 6 | 7 | 4 | 19:16 | 17 |
| კალიარი | 17 | 2 | 10 | 5 | 14:19 | 16 |
| ფიორენტინა | 17 | 9 | 3 | 5 | 26:17 | 15 |
| მესინა | 17 | 3 | 6 | 8 | 19:28 | 15 |
| კიევო | 17 | 3 | 5 | 9 | 18:24 | 14 |
| პარმა | 17 | 2 | 6 | 9 | 15:30 | 12 |
| რეჯინა | 17 | 5 | 5 | 7 | 19:24 | 9 |
| ასკოლი | 17 | 0 | 6 | 11 | 10:29 | 6 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 12 |
| რიგანო (მესინა) | 9 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 9 |
| სპინეზი (კატანია) | 8 |
| ბიანკი (რეჯინა) | 8 |
| ამაური (პალერმო) | 8 |
| 11165 | ნიცა-ლანსი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11167 | სოშო-ნანსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11168 | ტულუზი-ნანტი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11169 | ტრუა-პსჟ | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11170 | ვალენსიენი-სედანი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11171 | ბორდო-ლე მანი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11172 | ლილი-ოსერი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11174 | ლორიანი-რენი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11175 | ლიონი-მონაკო | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12003 | ლივერპული-უოტფორდი | 1.90 | 1.70 |
| 12005 | სიტი-ბოლტონი | 1.60 | 2.00 |
| 12006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.60 | 2.00 |
| 12007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.60 | 2.00 |
| 12010 | რედინგი-ევერტონი | 1.60 | 2.00 |
| 12011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1.60 | 2.00 |
| 12015 | უიგანი-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12057 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 12059 | სელტიკი-ფოლკირკი | 2.20 | 1.55 |
| 12061 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 1.90 | 1.70 |
| 12062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 12063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.90 | 1.70 |
| 12065 | კილმარნოკი-მოზერუელი | 1.90 | 1.70 |
| 12088 | ასკოლი-კიევო | 1.55 | 2.20 |
| 12089 | კატანია-სამპდორია | 1.55 | 2.20 |
| 12090 | ფიორენტინა-მესინა | 2.00 | 1.60 |
| 12091 | ინტერი-ატალანტა | 2.00 | 1.60 |
| 12093 | ლივორნო-ტორინო | 1.55 | 2.20 |
| 12094 | პარმა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12095 | რეჯინა-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12096 | რომა-კალიარი | 2.00 | 1.60 |
| 12098 | სიენა-პალერმო | 1.60 | 2.00 |
| 12099 | უდინეზე-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12164 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.00 |
| 12165 | ნიცა-ლანსი | 1.50 | 2.30 |
| 12167 | სოშო-ნანსი | 1.55 | 2.20 |
| 12168 | ტულუზი-ნანტი | 1.55 | 2.20 |
| 12169 | ტრუა-პსჟ | 1.60 | 2.00 |
| 12170 | ვალენსიენი-სედანი | 1.55 | 2.20 |
| 12171 | ბორდო-ლე მანი | 1.55 | 2.20 |
| 12172 | ლილი-ოსერი | 1.60 | 2.10 |
| 12174 | ლორიანი-რენი | 1.55 | 2.20 |
| 12175 | ლიონი-მონაკო | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ლივერპული-უოტფორდი | 2.00 | 1.60 |
| 13005 | სიტი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | რედინგი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 13013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13015 | უიგანი-ჩელსი | 1.90 | 1.70 |
| 13057 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13059 | სელტიკი-ფოლკირკი | 2.10 | 1.60 |
| 13061 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 13062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 13063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 13065 | კილმარნოკი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 13088 | ასკოლი-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13089 | კატანია-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13090 | ფიორენტინა-მესინა | 2.00 | 1.55 |
| 13091 | ინტერი-ატალანტა | 2.00 | 1.55 |
| 13093 | ლივორნო-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 13094 | პარმა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13095 | რეჯინა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13096 | რომა-კალიარი | 2.00 | 1.55 |
| 13098 | სიენა-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13099 | უდინეზე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13164 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.70 | 1.90 |
| 13165 | ნიცა-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13167 | სოშო-ნანსი | 1.70 | 1.90 |
| 13168 | ტულუზი-ნანტი | 1.70 | 1.90 |
| 13169 | ტრუა-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13170 | ვალენსიენი-სედანი | 1.70 | 1.90 |
| 13171 | ბორდო-ლე მანი | 1.70 | 1.90 |
| 13172 | ლილი-ოსერი | 1.70 | 1.90 |
| 13174 | ლორიანი-რენი | 1.70 | 1.90 |
| 13175 | ლიონი-მონაკო | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ფულემი-ვესტ ჰემი | [illegible] | [illegible] |
| 14003 | ლივერპული-უოტფორდი | [illegible] | [illegible] |
| 14005 | სიტი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.45 | 2.40 |
| 14007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.30 | 2.50 |
| 14010 | რედინგი-ევერტონი | 1.75 | 2.10 |
| 14011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.07 | 2.90 |
| 14013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 2.40 | 1.40 |
| 14015 | უიგანი-ჩელსი | 2.60 | 1.17 |
| 14057 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.00 | 1.80 |
| 14061 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 2.00 | 1.80 |
| 14062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.90 | 1.90 |
| 14063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.25 | 2.60 |
| 14065 | კილმარნოკი-მოზერუელი | 1.25 | 2.60 |
| 14088 | ასკოლი-კიევო | 1.90 | 1.80 |
| 14089 | კატანია-სამპდორია | 1.80 | 1.90 |
| 14090 | ფიორენტინა-მესინა | 1.04 | 2.90 |
| 14091 | ინტერი-ატალანტა | 1.04 | 2.90 |
| 14093 | ლივორნო-ტორინო | 1.70 | 2.20 |
| 14094 | პარმა-ლაციო | 1.90 | 1.80 |
| 14095 | რეჯინა-ემპოლი | 1.65 | 2.20 |
| 14096 | რომა-კალიარი | 1.04 | 2.90 |
| 14098 | სიენა-პალერმო | 2.00 | 1.80 |
| 14099 | უდინეზე-მილანი | 1.95 | 1.85 |
| 14164 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.30 |
| 14165 | ნიცა-ლანსი | 1.90 | 1.90 |
| 14167 | სოშო-ნანსი | 1.65 | 2.30 |
| 14168 | ტულუზი-ნანტი | 1.30 | 2.50 |
| 14169 | ტრუა-პსჟ | 1.90 | 1.90 |
| 14170 | ვალენსიენი-სედანი | 1.65 | 2.20 |
| 14171 | ბორდო-ლე მანი | 1.40 | 2.40 |
| 14172 | ლილი-ოსერი | 1.30 | 2.50 |
| 14174 | ლორიანი-რენი | 1.80 | 2.00 |
| 14175 | ლიონი-მონაკო | 1.08 | 2.90 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ლივერპული-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | სიტი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | პორტსმუთი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | რედინგი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | არსენალი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | უიგანი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | აბერდინი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15059 | სელტიკი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15061 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | კილმარნოკი-მოზერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15088 | ასკოლი-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15089 | კატანია-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | ფიორენტინა-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | ინტერი-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | ლივორნო-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | პარმა-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | რეჯინა-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | რომა-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | სიენა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | უდინეზე-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | მარსელი-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | ნიცა-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | სოშო-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ტულუზი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | ტრუა-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | ვალენსიენი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ბორდო-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ლილი-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ლორიანი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | ლიონი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.60 | 2.00 |
| 16005 | სიტი-ბოლტონი | 1.75 | 1.85 |
| 16006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.24 | 3.40 |
| 16007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.65 | 1.95 |
| 16008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.24 | 3.40 |
| 16010 | რედინგი-ევერტონი | 1.60 | 2.10 |
| 16011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.05 | 6.50 |
| 16013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 4.20 | 1.15 |
| 16015 | უიგანი-ჩელსი | 6.00 | 1.06 |
| 16057 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.00 | 1.60 |
| 16061 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 1.95 | 1.65 |
| 16062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.80 | 1.80 |
| 16063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.15 | 4.20 |
| 16065 | კილმარნოკი-მოზერუელი | 1.18 | 3.90 |
| 16088 | ასკოლი-კიევო | 2.00 | 1.60 |
| 16089 | კატანია-სამპდორია | 1.60 | 2.00 |
| 16090 | ფიორენტინა-მესინა | 1.03 | 6.80 |
| 16091 | ინტერი-ატალანტა | 1.03 | 6.80 |
| 16093 | ლივორნო-ტორინო | 1.45 | 2.30 |
| 16094 | პარმა-ლაციო | 2.00 | 1.90 |
| 16095 | რეჯინა-ემპოლი | 1.45 | 2.30 |
| 16096 | რომა-კალიარი | 1.03 | 6.80 |
| 16098 | სიენა-პალერმო | 2.00 | 1.60 |
| 16099 | უდინეზე-მილანი | 2.00 | 1.60 |
| 16164 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.30 | 3.00 |
| 16165 | ნიცა-ლანსი | 1.80 | 1.80 |
| 16167 | სოშო-ნანსი | 1.35 | 2.80 |
| 16168 | ტულუზი-ნანტი | 1.20 | 3.60 |
| 16169 | ტრუა-პსჟ | 1.80 | 1.80 |
| 16170 | ვალენსიენი-სედანი | 1.32 | 3.00 |
| 16171 | ბორდო-ლე მანი | 1.23 | 3.40 |
| 16172 | ლილი-ოსერი | 1.17 | 3.85 |
| 16174 | ლორიანი-რენი | 1.60 | 2.10 |
| 16175 | ლიონი-მონაკო | 1.06 | 6.30 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ლივერპული-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | სიტი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | რედინგი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | უიგანი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17059 | სელტიკი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | კილმარნოკი-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17088 | ასკოლი-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17089 | კატანია-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17090 | ფიორენტინა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17091 | ინტერი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17093 | ლივორნო-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17094 | პარმა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17095 | რეჯინა-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | რომა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | სიენა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17099 | უდინეზე-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ნიცა-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | სოშო-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ტულუზი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | ტრუა-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17170 | ვალენსიენი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ბორდო-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ლილი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ლორიანი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | ლიონი-მონაკო | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ოლიმპიამ რომი ვერ გაართა



გიორგი ცინცაძე

**ევროლიგის** B ჯგუფის ფსკერზე ჩაძირულ „ოლიმპიას" შანსი ჰქონდა, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მნიშვნელოვნად წაეწია წინ, მაგრამ იტალიაში „რომასთან" წააგო და ახლა ალბათ საოცრება უნდა მოხდეს, მიზანს რომ მიაღწიოს. ყოველ შემთხვევაში, ამის უკვე აღარც ლიუბლიანელთა თავკაც გასპერ ოკორნს სჯერა:

„სათქმელად ძნელია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსები უკვე დავკარგეთ. „რომასთან" მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გამარჯვებული კონკურენტ „უნიკახას" ცხრილში მეექვსე ადგილსართმევდა. ეს იყო თამაში, რომელიც მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის ბრძოლაში ჩაგვაბამდა, მაგრამ..."

რომაელთა მთავარ იმედ დეიან ბოდირიგას ტრავმა ჰქონდა, მაგრამ იტალიური გუნდის თავკაცი იასმინ რეპეშა იძულებული გახდა, სერბი ვარსკლავი ბოლო ორი წუთი ეთამაშებინა. ამის მიზეზი ის იყო, რომ რომაელებს პერსონალურ შენიშნვათა ლიმიტის გამო 5 მოთამაშე გაუვარდათ და თან ბოლო წუთებზე ლიუბლიანელებმა ჩამორჩენა მნიშვნელოვნად შეამცირეს.

ეს იყო ოლიმპიელების ბოლო გაფართხალება, სირენამდე 2 წუთით ადრე 6 ქულით რომ მიუახლოვდნენ მასპინძლებს, თორემ მთელი თამაშის მანძილზე სლოვენიურ კლუბს თითქმის არაფერი გამოსდიოდა.

„რომში იმ იმედით ჩამოვედით, რომ მასპინძლებს სიურპრიზს შევთავაზებდით და უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მოვიპოვებდით. ძალიან მონდომებით ვემზადებოდით, მაგრამ მოედანზე რომ გამოვედით, ვერაფერი ვაჩვენეთ, ყველაფერში ხელი მოგვეცარა. რომაელებს ვულოცავ, ისინი თამაშს თავიდან ბოლომდე აკონტროლებდნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს" — ესეც გასპერ ოკორნის სიტყვებია.

ამდენი მოვყევით და არაფერი გვითქვამს „ოლიმპიას" ქართველ უკანახაზელ მანუჩარ მარკოიშვილზე. მანუმ, „რომასთან" მატჩი, რომ იტყვიან, ჩააგდო და მასზე სალაპარაკო ბევრიც არაფერია — 19 წუთში თითო სამიანი და ორქულიანი ესროლა, მაგრამ ერთიც ვერ ჩააგდო და 3 მოხსნას დასჯერდა. „რომამ" საბოლოოდ 84:74 იმარჯვა და „ოლიმპია" ცხრილის ფსკერზე დატოვა.

ევროლიგაში არა, მაგრამ ესტონეთის ჩემპიონატში უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო გიორგი ცინცაძის „როკმა", რომელსაც მეტოქედ ტალინის „კალევი" ჰყავდა. ამ მატჩამდე ტარტუელები ესტონეთის ლიგას წაუგებლად ლიდერობდნენ და დედაქალაქელების ძლევით ცხირილის კენწეროში უფრო მყარად გამაგრდნენ.

ცინცაძემ 31 წუთი ითამაშა და 10 ქულა, 2 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. მისმა უშუალო მეტოქე ტანელ სოკმა მხოლოდ 3 ქულას მოუყარა თავი და „კალევიც" ლამის უბრძოლველად, 68:79 დამარცხდა „როკთან".

**ირაკლი პერტაია**

# ცქიტიშვილის საქმე მინისტრამდე მივიდა
## ვალიადოლიდი უკვე კონტრაქტს ადგენს



**ნიკოლოზ ცქიტიშვილის** უქმობას ალბათ მალე დაესმება წერტილი. ნბა-ში ოთხ სეზონგამტარებელი ქართველი ფორვარდით ესპანური „ვალიადოლიდი" რომ დაინტერესდა, გასულ კვირაში გამცნეთ, თუმც ახლა ამ გუნდმა უკვე კონტრაქტიც შეადგინა და ამ დღეებში ესპანურ ვიზასთან ერთად ცქიტიშვილს დენვერში გაუგზავნის.

ეს ამბავი ნიკას აქაურმა მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამ გვამცნო, რომლისგანაც ისიც შევიყვეთ, რომ ცქიტიშვილის დათმობა არ სურს ვლადივოსტოკის „სპარტაკ-პრიმორიეს". რუსები თურმე არ ცხრებიან და ნიკასთვის მისაცემი ვიზის მოსაპოვებლად ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთანაც მივიდნენ.

„სპარტაკს" მეურვეობს პრიმორიეს მხარის გუბერნატორი, რომელიც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს პირადად დაუკავშირდა, რათა ცქიტიშვილისთვის ვიზა მიეცათ. ვლადივოსტოკელებს ძალიან სურთ ნიკას შემატება და ყველაფერს აკეთებენ, რომ ვიზა მისცენ. ხვალ ბოლო დღეა, თუ ეს მოხერხდა, ხომ კარგი, არადა, ნიკა „ვალიადოლიდში წავა" — გვითხრა ვაჟა კვარაცხელიამ.

ცქიტიშვილი ახლა დენვერშია და იმის გამო, რომ დიდთოვლობის გამო ფრენა შეწყვეტილა, ნიუ იორკში რუსეთის საკონსულოში ვერ მიდის, ვიზის მიღების ამბავი რომ საბოლოოდ გაარკვიოს.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

20 დეკემბერი

**ატლანტა 106:112 იუტა**

ატლანტა: კლაქსტონი (12), ჯონსონი (21), მ. უილიამსი (9), სმიტი (23 ქულა, 12 მოხსნა), ფაჩულია (23 წუთი, 9 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა); შ. უილიამსი (14), სტუდემაიერი (8), რაიტი (4), ჯონსი

იუტა: უილიამსი (13), ფიშერი (18), კირილენკო (12), ბუზერი (13), ოქური (30 ქულა, 10 მოხსნა); ჰარპირინგი (11), ბრიუერი (8), გირიჩეკი (5), მისლაპი (2), კოლინზი, ბრაუნი

**მილუოკი 121:95 მაიამი**

მილუოკი: რედი (28), უილიამსი (19 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), ბოგუტი (17), ბელი (18), ვილანუევა (16)

მაიამი: ვეიდი (27), რაიტი (14), უოლკერი (13)

**ნიუ იორკი 111:109 შარლოტი**

ძირითადი დრო 95:95

ნიუ იორკი: ფრაი (30), კარი (29), კროუფორდი (25)

შარლოტი: ვოლესი (28), ბრეჟეცი (21), კეროლი (15)

**ორლანდო 86:89 ნიუ ორლეანი**

ორლანდო: ჰილი (21), ჰოვარდი (16 ქულა, 13 მოხსნა)

ნიუ ორლეანი: პოლი (19 ქულა, 11 პასი), პარგო (16)

**ფილადელფია 93:101 ინდიანა**

ფილადელფია: იგუდალა (20), კორვერი (20)

ინდიანა: ონილი (34 ქულა, 11 მოხსნა), ჯეკსონი (25)

**ბოსტონი 95:96 გოლდენ სტეიტი**

ბოსტონი: პირსი (27), ალენი (17)

გოლდენ სტეიტი: დევისი (31), პიეტრუსი (16)

**მინესოტა 94:111 ლეიკერსი**

მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი)

ლეიკერსი: ბრაიანტი (24), რადმანოვიჩი (17)

**ნიუ ჯერსი 113:111 კლივლენდი**

ნიუ ჯერსი: კარტერი (38), კრსტიჩი (18)

კლივლენდი: ჯეიმსი (37), ჰიუზი (19), ილგაუსკასი (18)

**სან ანტონიო 105:98 მემფისი**

სან ანტონიო: დანკანი (21), ფინლი (20), პარკერი (18)

მემფისი: მილერი (22), გასოლი (16)

**პორტლენდი 89:87 ჰიუსტონი**

პორტლენდი: რენდოლფი (24 ქულა, 13 მოხსნა)

ჰიუსტონი: მინი (34 ქულა, 9 მოხსნა, 5 დაფარება)



მეჰმეთ ოქურმა „ატლანტას" 30 ქულა ჩაუგდო

**კლიპერსი 96:98 ტორონტო**

კლიპერსი: ბრენდი (24 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება)

ტორონტო: ჯონსი (23), ფორდი (14), ბარნანი (13)

**სიეტლი 95:103 დალასი**

სიეტლი: რიდნერი (21), უილკოქსი (18), უოტსონი (18)

დალასი: დამპიე (22 ქულა, 16 მოხსნა), ტერი (17)

# დიდი თურქობა ჯორჯიაში

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ" ამ ოთხშაბათს „იუტასთან" რომ წააგო, ასეთ თამაშს გუნდები წელიწადში ერთხელ აგებენ. „იუტა" მძლავრ დასავლეთ კონფერენციაში ერთ-ერთი საუკეთესოა, „ატლანტა" კი უფრო სუსტ აღმოსავლეთში ქვესაშუალოთა მარაქაშია. კლასში სხვაობის მიუხედავად, ფაჩულიას გუნდი ბოლო მეოთხედის დაწყებამდე 21 ქულით უგებდა რანგით მაღალ მეტოქეს, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ წააგო და საკუთარ ქომაგებს უკმაყოფილო გუგუნი მოსწყვიტა.

გარდამტეხი გახდა მეოთხე მეოთხედის მესამე წუთის ერთი ეპიზოდი, როდესაც „იუტამ" ზედიზედ 5 ქულა გააკეთა — დერეკ ფიშერმა სამქულიანი ჩააგდო და საჯარიმოც ეკუთვნოდა. კი ააცილა, მაგრამ მისიანმა, კარლოს ბუზერმა მოხსნა და „ატლანტას" კალათში ჩააბრუნა. სხვაობა 17 ქულიდან 12-მდე შემცირდა და მასპინძლებსაც აქ აუკანკალდათ ხელ-ფეხი. „იუტამ" კი მომენტი დაიჭირა, ბოლომდე მიაწვა და დარჩენილ 9 წუთში ჩამორჩენა მთლიანად გააბათილა. „ჯაზორკესტრს" ამ დროს თურქი ცენტრი მეჰმეთ ოქური დირიჟორობდა, რომელიც შორი და საშუალო დისტანციებიდან ტყორცნით ტანჯავდა მეურვეებს, მათ შორის, ზაზა ფაჩულიასაც და მწვრთნელი ჯერი სლოუნიც მოედნის კიდიდან გამუდმებით უყვიროდა — ესროლე, ესროლეო. როცა მატჩის დამთავრებამდე 26 წამი რჩებოდა, ოქურმა მეხუთე ცდიდან მეოთხე სამქულიანი ჩააგდო, „იუტა" 110:104 დააწინაურა და ატლანტელები მიხვდნენ, რომ ყველაფერი დამთავრდა. მათ მეოთხე მეოთხედი 13:40 წააგეს, რაც მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

მორიგი მარცხი იწვნია დაბეჩავებულმა და დათითოკაცებულმა „მაიამიმ". ჩემპიონებს ამჯერად დაახლოებით ისეთივე გუნდმა მოუგო, როგორიც თვითონაა. „მაიამის" დარად „მილუოკიც" აღმოსავლეთის საშუალოებში ფეხის მოკიდებას ცდილობს და ყოველი გამარჯვება ძვირად ულირს. მაგრამ ამჯერად ვისკონსელებს მოგება ძალიან იაფი დაუჯდათ. თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ ამხელა ჩემპიონი „მაიამი" სულიერად და მორალურად დაეცა, მესამე მეოთხედი 15:30 წააგო და მეოთხეში სულ ჩამოყარა ყურები.

მილუოკელთა გამთამაშებელმა მო უილიამსმა 19 ქულას 11 მოხსნა და 10 პასი დაურთო და კარიერაში პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა. რომ ჰკითხეს, რა გრძნობა გეუფლებაო, მომ მიუგო — პირველი შვილივით მიხარია პირველი სამმაგი დუბლი, არა მგონია, ჯეისონ კიდს ჩემსავით გაუხარდა მე-80 და 81-ე სამმაგებიო.

დენვერში კი დიდთოვლობის გამო გადაიდო იქაური „ნაგიტსისა" და „ფინიქს სანზის" შეხვედრა და მასთან ერთად, „დენვერის" რიგებში „ფილადელფიიდან" სულ ახლახან გადაყვანილი ალენ აივერსონის დებიუტი.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეხანიკამ ძმას თიკუნი წაართვა და დინამო აღიარა




რაგბის მორიგი საშინაო სეზონი ახლახან, დეკემბრის სუსხში დასრულდა. 2000 წლის მერე შინაურ ამბავში ყველაფრის მომგებმა „ლოკომოტივმა“, რომელსაც ქართული რაგბის ბერმუხა თემურ ბენდიაშვილი წვრთნის და პატრონობს, ბოლო შვიდ სეზონში მეხუთედ მოიგო ეროვნული ჩემპიონატი. ამასთან „ლოკომ“ ხუთჯერ მოიპოვა საქართველოს თასი და ჯამში ათი აქაური ტიტული დაუგროვდა. ათსავე მოგებულ ფინალში რკინიზელთა 10 ნომერი ბობა კვინიხიძე თამაშობდა, ხოლო ფულბეკად ანუ 15 ნომრად გიორგი „მეხანიკა“ ასათიანი იდგა. სწორედ ეს ორნი არიან შინაურ რაგბიში ყველაზე ტიტულიანი მობურთალეები. ამჯერად განვლილ სეზონსა და აქეთურ-იქითურზე გიორგი ასათიანს ვესაუბრეთ

— წლევანდელი ჩემპიონატის ფინალის მოგების შემდეგ თქვენმა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა თქვა, რომ ამჯერზე გამარჯვება ყველაზე რთულად მოიპოვეთ. ეთანხმებით ამ აზრს?

— ვეთანხმები, რადგან ნახევარფინალში ძალიან გაგვიჭირდა. „ყოჩებს“ ბოლო წამებზე მოვუგეთ. ეს მოულოდნელი არ ყოფილა. როგორ ვითარებაშიც არ უნდა ვიყოთ, ჩვენსა და „ყოჩებს“ შორის დაპირისპირება ყოველთვის დაძაბული და დამაინტრიგებელია. ახლაც ასე იყო, თავისუფლად შეიძლებოდა, ნახევარფინალი წაგვეგო, მაგრამ იღბალი ჩვენსკენ იყო. თანაც წლეულს პლეიოფებისთვის სხვა გუნდებიც მოძლიერდნენ, ჩვენ კი დავსუსტდით — უცხოეთში სათამაშოდ სამი-ოთხი ძლიერი მორაგბე წავიდა. არადა, ზაფხულში საქართველოს თასი რომ მოვიგეთ, ლამის ყველა ფიქრობდა, ჩემპიონატის უპირობო ფავორიტები ვიქნებოდით, მაგრამ ასე არ მოხდა.

— ფინალში ბევრი თვლიდა, რომ „დინამო“ ფავორიტი იყო...

— იმიტომ, რომ ფინალის გამოკლებით „დინამომ“ მთელი სეზონი სტაბილურად ითამაშა და არც შემადგენლობის მხრივ ჰქონდა პრობლემები. „დინამოს“ მთავარი კოზირი მათი მძიმე შერკინება იყო, მაგრამ ჩვენმა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა ორი-სამი დღე საგანგებოდ გვავარჯიშა შერკინებაში და მეტოქეს დამუშავებული, მომზადებული კომბინაციები დავუპირისპირეთ, თანაც კონკრეტულ ელემენტებზე ვიმუშავეთ და შედეგიც მივიღეთ.

— უკვე მეათე ტიტული მოიგე. გამარჯვებასთან ერთად ემოციებიც ხომ არ იკლებს?

— არა, ახლანდელი მოგება უფრო გამიხარდა, რადგან აქამდე ერთი და იგივე გუნდებს ვუგებდით, ახლა სხვა მეტოქეს, „დინამოს“ ვაჯობეთ. სეზონის აღმოჩენად სწორედ „დინამო“ მიგაჩნია.

— აქამდე ნათამაშები ფინალებიდან რომელს გამოარჩევდი?

— ორი წლის წინ თასის ფინალში ბათუმის „დათვებს“ წაგებული მატჩი შემოვუტრიალეთ. ბოლო წამებზე მთელმა გუნდმა ლამაზი კომბინაცია გავითამაშეთ, ლელო მე გავიტანე და ანგარიში გავათანაბრეთ. ბობა კვინიხიძემ კი კიდიდან, საკმაოდ მახვილი კუთხიდან ზღაპრული გარდასახვით მოგვაგებინა.

— შინაურ რაგბიში საკმაოდ ტიტულიანი ხარ, მაგრამ ნაკრებში ფეხი ვერ მოიკიდე...

— ალბათ იმიტომ, რომ მეც მაქვს სუსტი მხარეები. მაგალითად, ჩემი ამპლუის მორაგბემ ფეხით კარგად უნდა ითამაშოს, რაც მე არ მეხერხება, თუმც, ვთვლი, რომ საერთო ჯამში არავისზე ნაკლები არ ვარ. ისიცაა, რომ უცხოეთში არ წაველი და აქაური პირობების გათვალისწინებით, ნაკრებში არც გამომიძახეს. საერთოდ, სიმართლე გითხრათ, სერიოზულად არც მიფიქრია ლეგიონერობაზე. სანამ მსოფლიოს თასზე პირველად გავიდოდით თითო-ოროლა ჩვენიანს თუ უმართლებდა და ძლიერ კლუბებში ხვდებოდნენ, მერე კი ხან ოჯახის გამო, ხანაც სხვა პირადი მიზეზების გამო თვითონ აღარ მიცდია უცხოეთში სათამაშოდ წასვლა, მაგრამ ახლანდელი გადასახედიდან ამას ერთი წუთითაც არ ვნანობ. აქაც მშვენივრად ვგრძნობდი და ვგრძნობ თავს.

— მეტსახელი „მეხანიკა“ ვინ შეგარქვა?

— სანამ მე დავიწყებდი რაგბის თამაშს, მანამდე ჩემი ძმა თამაშობდა საკმაოდ წარმატებულად და მისი ჩხირკედელაობის გამო „მეხანიკა“ შეარქვეს. მე „მეხანიკას“ ძმას მეძახდნენ. ჩემმა ძმამ თამაშს თავის რომ დაანება, პირიქით მოხდა, მე გავხდი „მეხანიკა“, ის კი „მეხანიკას“ ძმა, რაზეც ძალიან ბრაზობდა.

— ერთიც, კიდევ რამდენ ხანს აპირებ თამაშს?

— სანამ თემურ ბენდიაშვილი „ამიტანს“, ვხუმრობ, რა თქმა უნდა. შეიძლება, ბანალურიც იყოს და მწარე რეალობაც, მაგრამ რა დონეც არა მაქვს, კიდევ სამ-ოთხ წელიწადს თავისუფლად გავქაჩავ.

**გაჩო სვანიძე**

ხელბურთი

# ნაკრები რიგაში და იმედით დაიწყებს

## კირილოვით, ოღონდ კალანდაძისა და დათუკაშვილის გარეშე

გუშინ საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადება დაიწყო. ისე, ვარჯიშები მანამდეც ტარდებოდა, ოღონდ ლეგიონერების გარეშე. ახლა ისინიც თბილისში არიან (მეკარე შოთა თევზაძე თურქეთიდან ხვალ ჩამოვა) და ახალ წლამდე ყოველდღიურად ორჯერ ივარჯიშებენ.

საშეკრებო სარბიელი ტრადიციულია — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზი და იქვე მყუდრო სასტუმრო. აღსანიშნავია, რომ დარბაზში ახალი, ნორმალური განათება დამონტაჟდა და ტურბოდანადგარით გათბობის საკითხიც მოგვარდა. ასე რომ, ხელბურთელებს ხელები აღარ ეყინებათ.





მერაბ მეტრეველს სერგეი კირილოვის ეიმედება

**ეროვნული** ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის მერაბ მეტრეველის სიაში 20 კანდიდატია: რევაზ ჭანტურია და სერგეი კირილოვი (ორივე მაკედონია), ვლადიმერ რუსია და მამია კობახიძე (ორივე უკრაინა), გარი თურქია და გიორგი კვერნაძე (ორივე საბერძნეთი), შოთა თევზაძე (თურქეთი), ალეკო ბოყოჩაძე, გიორგი ქობელაშვილი, ომარ ყიფიანი, აკაკი ტალახაძე, რატი მსხვილიძე, ლევან ბერძენიშვილი, გაგა სამყურაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი (ყველანი „სტუ-შევარდენი“), ლევან გელაშვილი, შოთა გრიშიკაშვილი, ლაშა სამარლანიშვილი, ირაკლი ღაღანიძე (ყველანი „ხელბურთის კლუბი თბილისი“), გიგა ტორონჯაძე („ქარიშხალა“).

მათგან თოთხმეტნი ორ იანვარს თურქეთის გავლით ლატვიაში გაფრინდებიან იქაურ ნაკრებთან საბრძოლველად. ალბათ გაგაკვირვებთ ქართველთა გუნდში 29 წლის ბელარუსი კირილოვის გამოჩენა. რას ვიზამთ, ეს მძიმე ვითარებითაა გამოწვეული, ჩვენებს შემადგენლობაში ხომ ძალიანაც სჭირდებათ სერგეისნაირი, ტარანის ტიპის (198 სმ) ხაზელი.

სერგეის გუშინ არ უვარჯიშია უჯიშო მიზეზის გამო — მაკედონიიდან თურქეთის გავლით ფრენისას მისი ჩანთა სტამბოლის აეროპორტში დაიკარგა.

ორიოდე სიტყვით მომავალ ქართველ-ბელარუს ხელბურთელზე. სამშობლოში, გროდნოსა და გომელის „უნივერსიტეტებში“ თავის გამოჩენის შედეგად იგი მაკედონიის ქალაქ ბოგდანცის „მლადოსტში“ მიიწვიეს, სადაც უკვე მეოთხე სეზონია თამაშობს და ორჯერ ამ ექსიუგოსლავიური ქვეყნის ბრინჯაოს პრიზიორიც გახდა. სწორედ მაკედონიაში გაეცნო და დაუმეგობრდა რეზო ჭანტურიას, ვისი რეკომენდაციითაც გადაწყვიტა ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ სერგეის მოწვევა.

ერთი სიტყვით, ცხადია, რომ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში კირილოვი ჩვენს გუნდს ძალიანაც გამოადგება და საკითხიც, იმედია, დღეს-ხვალ სასურველად გადაწყდება, როცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კირილოვის გაქართველებაზე ბრძანებას ხელს მოაწერს.

მეტრეველს, სამწუხაროდ, ტიტე კალანდაძისა და სერგო დათუკაშვილის ტრავმებმა დიდი თავსატეხი გაუჩინა.

კალანდაძემ ზაფხულში ორივე ფეხზე ოპერაცია გაიკეთა და თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ტრავმა გაუმიზეზდა და ხუთიოდე დღის წინ ისლანდიაში მენისკის ხელახალი ოპერაცია დასჭირდა.

საქართველოს ნაკრების ლიდერ დათუკაშვილსაც მუხლის ტრავმა აწუხებს. როგორც მისი შვედური კლუბის ხელმძღვანელობა იუწყება, სერგოს ფეხის სამკურნალო-სარეაბილიტაციო პერიოდი 8-12 კვირა გაგრძელდება. ამდენად, სკანდინაველი ბოსები უარზე არიან, დათუკაშვილმა საიანვრო ევროციკლი ითამაშოს, შესაძლოა, ტრავმა გაურთულდეს.

და მაინც, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა იმედიანადაა, რადგან ოთხნაკრება ჯგუფში მეორე ადგილიც საპლეიოფო შანსს იძლევა. შესარჩევი ჯგუფის კალენდარი კი ასეთია: სამ იანვარს ლატვიაში ვთამაშობთ, შვიდში ბალტიელებს თბილისში ვუმასპინძლებთ, მერე კი — 12 იანვარს თბილისში რუმინეთია, 14-ში კონსტანცაში, 19 იანვარს თბილისში — ბულგარელებს მივიღებთ და ორი დღის შემდეგ საპასუხო მატჩია გაბროვოში.

**გია ახალაძე**



# კავკასია ბოლნისში გაერთიანდა

**ორიოდე წელია**, საქართველოში ქალთა ძიუდო გამოცოცხლდა. ჩვენი ნაკრები საერთაშორისო ტურნირებზეც გამოვიდა და უკვე მედლების მოპოვებაც მოასწრო. მომავალი წლიდან კი ოლიმპიადის სალიცენზიო ციკლი იწყება და ქართული გუნდი პეკინის საგზურებისთვის ბრძოლას აპირებს.

სამომავალსეზონო სამზადისს გოდერძი ველიჯანაშვილის შეგირდები მეორე კვირაა, ბოლნისში გადიან სომეხ და აზერბაიჯანელ სპორტსმენებთან ერთად.

„ახალ სეზონს 12 იანვარს, ავსტრიული შეკრებით გავხსნით — გვითხრა გუშინ ველიჯანაშვილმა ბოლნისური დილის ვარჯიშის შემდეგ — დაძაბული წელი გველის და მისთვის სამზადისს აქედანვე უნდა შევუდგეთ. ეს ბოლნისური ერთობლივი შეკრებაც ერთ-ერთი პირველი ეტაპია. სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებები უძლიერესი ძიუდოისტებით გვესტუმრნენ და მათ გვერდით ვარჯიში ჩვენი გოგონებისთვის უდიდესი სტიმულია. შეკრებაში სულ ოცდაათამდე ჩამოსული და ამდენივე ქართველი ძიუდოისტი მონაწილეობს".

ავსტრიულ შეკრებაზე საქართველოს ნაკრების თავკაცი ხუთი შეგირდის წაყვანას აპირებს:

„საახალწლო რამდენიმედღიანი დასვენების შემდეგ 3-4 იანვარს განვაახლებთ ვარჯიშებს. 12-ში კი იმ ხუთ სპორტსმენს შევარჩევ, ვისიც მომავალ სეზონში ყველაზე მეტად გვეიმედება. ავსტრიაში ორი კვირის განმავლობაში ვივარჯიშებთ, 25-26-იანვარს კი თბილისის საერთაშორისო ტურნირის პარალელურად ბულგარეთში ჩასატარებელ „მსოფლიოს თასზე" მივიღებთ მონაწილეობას. მართალია, გუნდი ჯერ კიდევ დაკომპლექტების პროცესშია და გოგონებს სატურნირო გამოცდილება აკლიათ, მაგრამ მიზნად მაინც მაღალი შედეგების მიღწევას ვისახავთ. აპრილში ევროპის ჩემპიონატზე გამოვალთ. ამ ტურნირს დამატებითი დატვირთვაც ექნება — ოლიმპიადის სალიცენზიო სეზონი სწორედ ამით გაიხსნება. მერე ასევე სალიცენზიო, სერბეთის „მსოფლიოს თასი" მოჰყვება და ცდას არ დავაკლებთ, რაც შეიძლება, მეტი ქულა რომ ავიღოთ. არ იქნება, ქვემო ქართლის გუბერნატორისა და ბოლნისის გამგებლის მხარში დგომა არ ვახსენო. საქართველოში ქალთა ძიუდო რომ ცოცხლდება, ეს პირველ რიგში ზურაბ მელიქიშვილისა და გიორგი არევაძის დამსახურებაა. თუნდაც მარტო ამ შეკრების ორგანიზება რად ღირს. ვეცდებით, მათ მონდომება და შრომა შედეგებით დავუფასოთ, თან რაც შეიძლება, მალე".

მხარის გუბერნატორი და რაიონის გამგებელი ძიუდოისტებს გუშინ დარბაზში ესტუმრნენ და მცირე კომენტარები მასმედიისთვისაც გააკეთეს.

გიორგი არევაძე: „სასიხარულოა, რომ ქალთა ძიუდოს გამოცოცხლება ბოლნისიდან დაიწყო. ამ სახეობის პოპულარობა დღითი დღე იზრდება. როგორც ხედავთ, დღეს დარბაზში ოცდაათზე მეტი ქართველი გოგონა ვარჯიშობს. ეს შემართება შედეგს აუცილებლად გამოიღებს".

ზურაბ მელიქიშვილი: „ქართულ ძიუდოს მთელი მსოფლიო იცნობს. აქამდე მხოლოდ კაცების წარმატებებით ვხარობდით. გოდერძი ველიჯანაშვილის მონდომებისა და მისი გოგონების შემართების შემხედვარე დარწმუნებული ვარ, წლების შემდეგ დიდ საერთაშორისო ტურნირებზე ქალთა შორისაც შეგვეძლება მედლებისთვის ბრძოლა".

**ოთარ მაღლაკელიძე**



# 5 მაისს, ლას ვეგასში

## ოქროს ბიჭი და ფოლადივით ფლოიდი

**ესეც ასე** — საბოლოოდ გაირკვა, დამტკიცდა და საქვეყნოდაც გაცხადდა, რომ ოსკარ დე ლა ჰოია და ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი 5 მაისს ლას ვეგასის ლეგენდარულ „მჯმ გრანდ გარდენ არენაში" იჩხუბებენ.

კრივის ყველა მოყვარულისა თუ სპეციალისტის ოცნება ბოლოს და ბოლოს ახდება და თანამედროვეობის ალბათ ყველაზე პოპულარული, უძლიერესი და ტიტულიანი მოკრივეები ერთმანეთს დაეტაკებიან.

შეგახსენებთ, რომ დე ლა ჰოია მსოფლიოს ჩემპიონია ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში. გარდა ამისა, ის ბარსელონას ოლიმპიური ჩემპიონიცაა. „ოქროს ბიჭი" დღესდღეობით ეროვნული მასშტაბის ვარსკვლავია, რომელმაც რინგის გარეთაც მშვენიერი კარიერა მოიწყო. მაგრამ დე ლა ჰოია უპირველესად მაინც ძალიან დიდი მოკრივეა, რომელსაც კარიერის განმავლობაში ისეთი „მონსტრები" გაულახავს, როგორებიც ხულიო სეზარ ჩავესი, რიკარდო მაიორგა, ჯესი ჯეიმს ლეიხა, არტურო გატი, შეინ მოზლი და ფერნანდო ვარგასი არიან.

„ასეთი ბრძოლებში ჩანს კრივის არსი. ფლოიდი ის მოკრივეა, რომელიც მაიძულებს, ვარჯიშებზე ბოლომდე დავიხარჯო და ბრძოლაში ყველაფერი ჩავდო. ამ დაპირისპირებას ყველა ელოდა და მეც ერთი სული მაქვს, რინგზე როდის გავალ" — განაცხადა „ოქროს ბიჭმა".

მეივეზერი დე ლა ჰოიას ტიტულებით არცთუ ბევრით ჩამორჩება — მართალია, ოლიმპიადის ოქრო არ მოუგია (ატლანტაში მხოლოდ ბრინჯაოს შეწვდა), მაგრამ პროფესიულ რინგზე ჯერაც დაუმარცხებელია და 37-ვე ბრძოლა მოიგო (24 ნოკაუტით). გარდა ამისა, მას ოთხ სხვადასხვა წონაში საჩემპიონო ქამარი აქვს მოპოვებული.

„კიდევ ერთი შანსი მეძლევა, საკუთარი შესაძლებლობები დავამტკიცო. ოსკარს და მის მიღწევებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ახლა შანსი არ ექნება" — საკუთარ ძალებში დარწმუნებულია მეივეზერი.

ბრძოლა კი უდავოდ დეკადის მოვლენად იქცევა. ამერიკელი ექსპერტები აქედანვე ვარაუდობენ, რომ ამ დაპირისპირების სატელევიზო შემოსავალი მინიმუმ 18 მილიონს მიუკაკუნებს. აქამდე ყველაზე მეტი კი 1999 წელს ევანდრ ჰოლიფილდისა და ლენოქს ლუისის ჯახს მოუტანია — 16,8 მილიონი.

**კახა ლომაშვილი**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ჰაშეკი ისევ დომინატორობს

20 დეკემბერი

**დეტროიტი 5:0 კოლუმბუსი**

*2:0 2:0 1:0*

1:0 კლირი (6), 2:0 კლირი (11), 3:0 მოლტბი (27), 4:0 ლიდსტრომი (32), 5:0 უილიამსი (45)

**ჩიკაგო 1:2 ნეშვილი**

*1:0 0:0 0:2*

1:0 ჰავლატი (15), 1:1 კარია (47), 1:2 კარია (53)

**ანაჰაიმი 4:1 დალასი**

*2:1 2:0 0:0*

1:0 პრონგერი (4), 2:0 პერი (12), 2:1 ბარნსი (15), 3:1 პერი (21), 4:1 ს. ნიდერმაიერი (37)

**ბევრს** იმედი ჰქონდა, რომ „ანაჰაიმის" გაჩერებას „დალასი" მაინც მოახერხებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, „იხვები" ეძახეთ და არწივებივით კი დაფრინავენ. მოკლედ, კალიფორნიელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი ტოლ-სწორი წლეულს თითქმის არ მოიძებნება.

მცველთა სუპერდუეტის — სკოტ ნიდერმაიერისა და კრის პრონგერის ზურგს უკან სულ უფრო დამაჯერებლად თამაშობს ჟან-სებასტიან ჟიგერი. ამას თითქმის ერთნაირი სიძლიერის შემტევი სამეულები დაუმატეთ და „იხვების" სიძლიერის საიდუმლო გასაგები ხდება.

გუშინ თავი ახალგაზრდებმა გამოიდეს და „დალასის" დაცვა ნაკუწ-ნაკუწ დახერხეს. განსაკუთრებით კორი პერიმ იყოჩაღა და დუბლი მიითვალა. ტეხასელებს კი აშკარად ეტყობოდათ მაიკ მოდანოსა და იერი ლეჰტინენის არყოფნა.

პოლ კარია წლეულს ასისტენტის როლში უფრო ხშირად იყო, მაგრამ როცა „ნეშვილს" გაუჭირდა, სნაიპერობაც იკისრა და დასკვნით პერიოდში გატანილი წყვილი შაიბით „მტაცებლებს" ურთულესი გასვლითი შეხვედრა მოაგებინა „ჩიკაგოსთან".

„დეტროიტი" კი ძალიან გაუბრაზებია ორიოდე დღის წინ „კოლუმბუსთან" მარცხს. ამიტომაც „წითელმა ფრთებმა" ოჰაიოელებს ჰოკეის გაკვეთილი ჩაუტარეს და კლასის ხარჯზე გაანადგურეს.

აი, „დეტროიტის" კარის დარაჯი, ლეგენდარული დომინიკ ჰაშეკი სულაც გაუცოფებია იმ მარცხს და საამისოდ მიზეზიც ჰქონდა, რადგანაც პირველ პერიოდში სამი შაიბა გაუშვა და ამიტომ გამოცვალეს კიდეც. ჩეხმა კი ლამის ტრადიციად აქცია — ასეთი უიღბლო თამაშების შემდეგ დიდებულად ირჯება ხოლმე. მით უმეტეს, როცა იგივე მეტოქესთან უწევს დაპირისპირება — შედეგად „დომინატორმა" დომინანტური თამაში აჩვენა და მორიგი შათაუტიც ჩაიწერა ანგარიშზე. ეს კი 41 წლის ვეტერანისთვის სეზონში მეხუთე მშრალი მატჩი იყო, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია.

ჰაშეკს კარიერაში სულ 73 შათაუტი დაუგროვდა, რითაც ყველა დროის მეკარეებს შორის ჩეხმა მეათე ადგილზე გადაინაცვლა და ლორნ შაბოტს გადაასწრო.

ყველაზე მეტი შათაუტების გამკეთებელი მეკარეების საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:

**კახა ლომაშვილი**

## შათაუტები

| | |
|---|---|
| 1. ტერი სავჩუკი | 103 |
| 2. ჯორჯ ჰაინსვორტი | 94 |
| 3. გლენ ჰოლი | 84 |
| 4. მარტინ ბროდო | 83 |
| 5. ჟაკ პლანტი | 82 |
| 6. თაინი ტომპსონი | 81 |
| 7. ალექს კონელი | 81 |
| 8. ტონი ესპოზიტო | 76 |
| 9. ედ ბელფური | 75 |
| 10. დომინიკ ჰაშეკი | 73 |



# მსოფლიოს თასი

## კაცები

ჰინდერშტოდერი (ავსტრია). 21 დეკემბერი

### გიგანტური სლალომი

| | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 2წთ 25,63წმ (1.12,91+1.12,72) |
| 2. ფრანსუა ბურკე (კანადა) | 2.25,89 (1.13,86+1.12,03) |
| 3. კალე პალანდერი (ფინეთი) | 2.26,03 (1.13,13+1.12,90) |
| 4. ბოდე მილერი (აშშ) | 2.26,16 (1.13,30+1.12,86) |
| 5. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2.26,20 (1.13,95+1.12,25) |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 521 ქულა |
| 2. ბოდე მილერი (აშშ) | 490 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 410 |
| 4. პეტერ ფილი (იტალია) | 362 |
| 5. კალე პალანდერი (ფინეთი) | 287 |

## ქალები

ვალ დიზერი (საფრანგეთი). 21 დეკემბერი

### სლალომი

| | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1წთ.46,15წმ. (52,15+54,00) |
| 2. ანემარია გერგი (გერმანია) | 1.46,36 (52,63+53,73 |
| 3. ტერეზა ბორსენი (შვედეთი) | 1.46,39 (52,21+54,18) |
| 4. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 1.46,53 (52,60+53,93) |
| 5. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 1.46,82 (63,30+53,52) |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 477 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 460 |
| 3. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 441 |
| 4. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 435 |
| 5. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 360 |



AFP მოსკოვიდან




# ჩვენ მარშლები ვართ

ამერიკის ეკრანებზე გუშინ გამოვიდა ფილმი, „ჩვენ მარშლები ვართ". ფილმი მარშალის უნივერსიტეტის მობურთავეთა გუნდის ნამდვილ, ტრაგიკულ ისტორიას ასახავს: გუნდი 1970 წლის 14 ნოემბერს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. არავინ გადარჩენილა. პატარა ქალაქის და მისი საყვარელი გუნდის ისტორიაში მეტიუ მაკკონაჰი (მარცხნივ) და მეტიუ ფოქსი თამაშობენ, იმ ფოტოზე მათ შუა გუნდის ყოფილი მწვრთნელები ჯერ ლენგეილი და რედ დოუსონი დგანან.

# წმინდა ბასილის წინ

ეს ბოლო ხანია, მოსკოვის წითელ მოედანზე კატოკია გაშლილი. იქ ჯერ ჰოკეის დიდი შოუ გაიმართა მაკაროვ-კრუტოვ-ლარიონოვებით და გულზე ნაწერილი „სსსრ"-თი ახლა კი ფიგურული სრიალი. ყინულზე ჩინური წყვილია: ჰუ შენი და ჰონგბიო ჟაო.

AFP ბუენოს აირესიდან



# სახალხო კრივი

ბუენოს აირესის გულისგულში, ობელისკის შორიახლოს ლიაცისქვეშ რინგი ჩაიდგა და გამვლელ-გამომვლელს მუქთი სანახაობით უმასპინძლობდნენ. ამ ღონისძიებას მიზნად ქვეყანაში კრივის პოპულარიზაცია ჰქონია. არადა, არგენტინას ჰყოლია ჩემპიონები, მათ შორის, დიადნიც: კარლოს მონსონიც კმარა.



AFP შანხაიდან



AFP ბუენოს აირესიდან

# ნორჩთა რგოლები

ეს ჩინელი ბაღის ბავშვები არიან ქალაქ შიანიდან. ისინი შეგვახსენებენ, რომ პეკინის ოლიმპიადა ახლოვდება. ჩინეთში ბაღის ბავშვებსაც კი ასწავლიან, რა არის ოლიმპიადა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge